



ღობო+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველი
2021

ავტორი: ლიკა ჯალაღანია

პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა და გაეროს მოსახლეობის ფონდი შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებენ. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის შეხედულებებს. აქ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტორ(ებ)ს ეკუთვნის.

სარჩევი

აბრევიატურები	4
გამოყენებული ტერმინები	5
1. შესავალი	7
2. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო	9
3. საზოგადოების განწყობები ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საქართველოში	11
4. თანასწორობის უზრუნველყოფი კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა საქართველოში	13
5. დისკრიმინაციისგან დაცვა და თანასწორობა	14
5.1. ეროვნულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტებისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მიმოხილვა	14
ა) სიძულვილის ენა	17
ბ) ტრანს* ადამიანთა დისკრიმინაცია და გენდერის სამართლებრივი აღიარება	19
5.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკაზე	21
6. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები	22
6.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	22
ა) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები	26
6.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკაზე	29
7. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება	30
7.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	30
2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები	33
7.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე	35
8. წვდომა განათლებაზე	36
8.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	36
8.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა განათლების უფლებაზე	39
9. შრომითი უფლებები და წვდომა დასაქმებაზე	41
9.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	41
9.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა შრომით უფლებებზე	45
10. ჯანმრთელობის უფლება	47
10.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	47
10.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა ჯანმრთელობის უფლებაზე	49
11. სოციალური დაცვა და საბინაო პოლიტიკა	51
11.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	51
11.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა საცხოვრისის უფლებაზე	53
12. ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა	55
12.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები	55
12.2. COVID-19-ის გავლენა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებაზე	59
დასკვნა და რეკომენდაციები	60

აბრევიატურები

CEDAW	გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
ECRI	ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ
ICCPR	გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი
ICESCR	სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საერთაშორისო უფლებათა პაქტი
ICPD	ქაიროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SRHR	სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
WHO	მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სოგი	სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა
შსო	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

გამოყენებული ტერმინები

გვი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ კაცებთან მიმართებით და აღნიშნავს კაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს კაცი.

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება თავს შეიძლება აღიქვამდეს მამაკაცად ან ქალად. ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა კაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულიზურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებაში და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებსა“ და „შესაბამისობებთან“. გენდერული არაკონფორმულობა შეიძლება გამოვლინდეს იმისგან დამოუკიდებლად, ახდენს თუ არა ადამიანი თავისი დაბადების სქესისა და გენდერული იდენტობის შეთავსებას.

გენდერული დისფორია – დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ სტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის განსხვავების გამო.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტ(+) – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გვი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) – ეს ტერმინი სექსუალურ ქცევას უფრო შეესაბამება, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ კაცის ქცევის აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ კაცთან, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გვი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

სისგენდერი – ტერმინი სისგენდერი მიესადაგება იმ ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა და გენდერული თვითგამოხატვა შეესაბამება დაბადებისას მისთვის მინიჭებულ ბიოლოგიურ სქესსა და იმ სოციალურ მოლოდინს, რომელიც მის გენდერს მიემართება.

სქესი – მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განასხვავებს მდედრისა და მამრის ორგანიზმს.

ტრანსგენდერი/ტრანსი* – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, რომელთა გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მათი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი ასევე გულისხმობს ტრანსსექსუალებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერი ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.

ტრანსგენდერი კაცი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მდედრობით სქესს მიაკუთვნეს, მაგრამ თავს კაცად აღიქვამს. ტრანსგენდერ კაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მამრობით სქესს მიაკუთვნეს, მაგრამ თავს ქალად აღიქვამს. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ტრანსსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა ის თავიანთ გენდერულ იდენტობას მიუსადაგონ.

ჰომოფობია/ტრანსფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანე-

ბის მიმართ, რომელიც წინასწარგანწყობას ეფუძნება და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა.

ჰეტეროსექსიზმი – რწმენა, რომ ჰეტეროსექსუალობა არის უმაღლესი (რელიგიურად, მორალურად, სოციალურად, ემოციურად და სხვ.) სხვა სექსუალობებთან მიმართებით; პრეზუმფცია, რომ ყველა ადამიანი ჰეტეროსექსუალია; რწმენა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს ჰეტეროსექსუალი. როგორც ჩავვრის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, ჰეტეროსექსიზმი უარყოფითად აისახება ლგბტ+ ადამიანებსა და, ასევე, ზოგიერთ ჰეტეროსექსუალ ინდივიდზეც, რომლებიც არ შეესაბამებიან მასკულინობისა და ფემინურობის ტრადიციულ გაგებას.

ჰეტეროსექსუალი – ემოციური, რომანტიკული და სექსუალური კავშირის/გრძნობის ქონა საწინააღმდეგო სქესისა და გენდერის მქონე ადამიანის მიმართ.

1. შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება. წინა წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფომ ასე თუ ისე გააძლიერა თანამშრომლობა არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციებთან, რაც გამოიხატებოდა ლგბტ+ პირთა საჭიროებების ნაწილის ასახვით ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკის დოკუმენტებში, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმებში. ცვლილებები განიცადა საკანონმდებლო გარემომაც, რომელმაც კანონის დონეზე ლგბტ+ ჯგუფი შესაბამისი უფლებებით აღჭურვა. თუმცა ეს ღონისძიებები, მეტწილად, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დადგენილი ვალდებულებების შესრულებით იყო განპირობებული, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოციაციის შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფით, და არა რეალური საჭიროებების გააზრებით შექმნილი პოლიტიკით.

სწორედ იმის გამო, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩაგვრისა და სისტემური უთანასწორობის გააზრება არ უდევს საფუძვლად სახელმწიფოს პოლიტიკაში არსებულ ცვლილებებს, შეინიშნება მნიშვნელოვანი აცდენა საკანონმდებლო/ფორმალურ გარემოსა და ლგბტ+ ჯგუფის რეალურ მდგომარეობას შორის. ამან ხელი შეუწყო იმასაც, რომ საკანონმდებლო პროგრესის ფონზე, ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება ჰომოფობიური განწყობები და ძალადობრივი, რადიკალური ჯგუფები, რომლებიც უპირისპირდებიან ქალთა და ლგბტ+ ადამიანთა უფლებებს და რეალურ საფრთხეს უქმნიან ქვეყანაში დემოკრატიული და სოლიდარული საზოგადოების მშენებლობას. თუმცა, ამ გამოწვევების მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ამ საფრთხეების თავიდან ასარიდებლად და აღმოსაფხვრელად, არაეფექტიანია და ხშირად იგნორირების პოლიტიკაზე დგას. სახელმწიფოს არ მიუღია დამატებითი ზომები ადამიანის უფლებებზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების სისტემური ღონისძიებებისთვის, რაც საზოგადოებაში ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ჯგუფების მშვიდობიანი თანაცხოვრების, ტოლერანტობისა და სოლიდარობის პრინციპების გავრცელებას. ამის საპირისპიროდ, ლგბტ+ ჯგუფთან დაკავშირებით, ხელისუფლების არათანმიმდევრული პოლიტიკა და სიძულვილის შემცველი საჯარო განცხადებები ხელს უწყობს და ამწვავებს საქართველოში ამ ჯგუფის მდგომარეობას და მათ დაუცველს ტოვებს ძალადობისა და დისკრიმინაციის პირისპირ.

შესაბამისად, ლგბტ+ ადამიანები, მათი უფლებების დაცულობის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში უთანასწორო მოპყრობისა და ამგვარი მოპყრობის რისკის წინაშე იმყოფებიან. საზოგადოებაში არსებული ჰეტეროსექსიზმი და ქამინგაუთთან დაკავშირებული შეზღუდვები თუ თვითშეზღუდვები განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება ლგბტ+ ჯგუფის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობის უფლების განხორციელებაზე და შრომითი უფლებების დაცვაზე. შესაბამისად, ამ გამოწვევების ურთიერთკავშირი სოციალური გარიყულობის იმგვარ ციკლს წარმოშობს, რომლისგან თავის დაღწევა არსებით სირთულეებს უკავშირდება.

ლგბტ+ ჯგუფის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევები კიდევ უფრო დაამძიმა მსოფლიოში COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა მკაცრმა სამთავრობო დირექტივებმა. ბუნებრივია, ამ მდგომარეობამ საზოგადოების ყველა წევრზე მოახდინა გავლენა, თუმცა განსაკუთრებით მძიმე შედეგები იქონია მონყვლად ჯგუფებზე, რომლებიც პანდემიამდეც განიცდიდნენ სოციალურ, ეკონომიკურ კრიზისს და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან

გამოწვევებს (მათ შორის, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს). პანდემიამ არსებითად გაართულა ლგბტ+ ადამიანთათვის მხარდაჭერის არაფორმალურ სივრცეებზე წვდომაც, შესაბამისად, ისინი ძალადობის გაზრდილი რისკისა და მხარდაჭერის მინიმალური შესაძლებლობების წინაშე მარტოები აღმოჩნდნენ.

წინამდებარე სამაგიდო კვლევა აფასებს ლგბტ+ ჯგუფის პანდემიამდელ და პანდემიის შემდგომ მდგომარეობასაც. ამრიგად, კვლევის მიზანია ლგბტ+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობისა და პრაქტიკის სიღრმისეული შესწავლა. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოჯი) საფუძველზე დისკრიმინაციისა და ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემოს, მათი განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების ეფექტიანობის ანალიზი, შეფასება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება საკანონმდებლო ჩარჩოსა და დე-ფაქტო მდგომარეობას შორის არსებული განსხვავების შესამცირებლად.

2. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

კვლევის მეთოდოლოგია

ლგბტ+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ანგარიში დაეფუძნება სამაგიდო კვლევასა და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებს.

სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესწავლა და ანალიზი, მოიცავს, როგორც საქართველოს მიერ უშუალოდ ნაკისრ ვალდებულებათა ასახვას, ასევე, სართაშორისოდ დადგენილ სტანდარტთა მიმოხილვას.

ეროვნული ვალდებულებების შესრულების სტატუსის შესაფასებლად, ანგარიში, ერთი მხრივ, დაეფუძნება საჯარო ინფორმაციას შესაბამისი უწყებებიდან, მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს კონკრეტულ სფეროში (არსებობის შემთხვევაში) ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებების დეტალურ მიმოხილვას და სახელმწიფოს პოლიტიკაში განხორციელებული ვალდებულებების ანალიზს, კერძოდ, ანგარიში შემდეგ ეროვნულ დოკუმენტებს მიმოხილავს:

ეროვნული კანონმდებლობა

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
- საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ
- საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- სხვა შესაბამისი კანონი ან კანონქვემდებარე აქტები

პოლიტიკის დოკუმენტები

- საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის)
- საქართველოს სამთავრობო სამოქმედო გეგმები (სამთავრობო სამოქმედო გეგმები 2014 წლიდან 2020 წლამდე)
- საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა
- საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის
- სხვა თემატური სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები და პროგრამები

თვისებრივი კვლევა

კვლევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია თვისებრივი კვლევა, რაც მოიცავს ფოკუს ჯგუფების ჩატარებასა და მიღებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზს. ფოკუს ჯგუფების დისკუსია დაეფუძნება წინასწარ შემუშავებულ კითხვარს, რომელიც სტრუქტურაში მითითებულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საკვანძო კითხვას აერთიანებს.

ფოკუს ჯგუფები შემდეგ სამიზნე ჯგუფთან ჩატარდება:

- ლგბტ+ სათემო ორგანიზაციები (2 ფოკუს ჯგუფი)

შენიშვნა: წინამდებარე კვლევა იყენებს „ლგბტ+“ აბრევიატურას, თუმცა იქ, სადაც კონკრეტული დოკუმენტი/წყარო იყენებს სხვა ფორმით არსებულ აბრევიატურას (მაგ., ლგბტქი, ლგბტ, ლგბტი, ლგბტია და სხვ.) ანგარიშში მითითებულია ის აბრევიატურა, რაც წყაროშია მითითებული. ამრიგად, ანგარიშში შესაძლოა იყოს ამ აბრევიატურის გამოყენების სხვადასხვა ფორმა და ის უნდა გავიგოთ არა რაიმე ახალი ჯგუფის ამსახველად, არამედ, როგორც ურთიერთჩამნაცვლებელ აბრევიატურებად.

3. საზოგადოების განწყობები ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საქართველოში

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, საზოგადოებაში კვლავ ნარჩუნდება ჰომოფობიური დამოკიდებულებები.¹ ამას ხელს უწყობს სახელმწიფოს მხრიდან ლგბტ+ ადამიანთა მიმართ არსებული სტიგმისა და წინასწარგანწყობების მიმართ იგნორირების პოლიტიკა, პოლიტიკოსთა მხრიდან ტირაჟირებული სიძულვილის ენა და ჯგუფის მიმართ არსებული გამონწვევების საჯარო აულიარებლობა.

სახელმწიფოს შესაბამისი უწყებები არ აანალიზებენ ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს და არ იკვლევენ დისკრიმინაციის ფუნდამენტურ მიზეზებს. შესაბამისად, ლგბტ+ თემის უფლებრივ მდგომარეობასა და მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებს მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა კვლევითი ორგანიზაციები გამოავლენენ და აანალიზებენ. 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, „საზოგადოება მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხებისა და ლგბტ+ აქტივისტების/უფლებადამცველების მიმართ“.² კვლევის მიხედვით, ცალკეული უფლებების მიმართ დამოკიდებულებები განსხვავდება ასაკისა და განათლების ქრილში: სტუდენტები და 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები გაცილებით მეტ მიმღებლობას ამჟღავნებენ ცალკეული უფლების მიმართ. თუმცა, განსხვავებები უმნიშვნელო ხდება ზედა ასაკობრივ ჯგუფებსა და განათლების სხვადასხვა დონის მქონე რესპონდენტებს შორის.³ მთლიანობაში ცალკეული უფლების მიმართ დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს ცოდნა, გავრცელებული მითები, სტერეოტიპები ჰომოსექსუალობის შესახებ და ასევე, რელიგიური ფუნდამენტალიზმის დონე.⁴ ამგვარი დამოკიდებულებების კულტივირებაში მნიშვნელოვანი წილი მოდის პოლიტიკოსების მხრიდან წარმოებულ სიძულვილის ენაზე, როგორც ლგბტ+ ჯგუფის, ისე ზოგადად, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

საზოგადოების დამოკიდებულებებთან მიმართებით, ასევე საინტერესოა UNFPA-ს მიერ საქართველოში 2020 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოკითხულ კაცთა 83%-ს შერცხვებოდა ჰომოსექსუალი შვილის ყოლა, ამავე დებულებას ქალთა 74% იზიარებს. დებულებას, რომ ჰომოსექსუალ ქალებს/კაცებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება, იზიარებს კაცების კვლავ 83% და ქალთა 64%. გამოკითხულ კაცთა 81% აღნიშნავს, რომ არ ეყოლებოდა ჰომოსექსუალი მეგობარი, როდესაც, ამავე დებულებას, ქალთა მხოლოდ 54% იზიარებს.⁵

საინტერესოა ტენდენციას აჩვენებს ასევე, CRRC-ის კვლევა - 2019 წლის მონაცემებით, რესპონდენტებისთვის დასმულ კითხვაზე, თუ ვის არ ისურვებდნენ მათ მეზობლად კრიმინალებისა (27%) და

1 UNFPA, G. (2020). კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. თბილისი: UNFPA და UNDP.

2 აღდგომელაშვილი ე. „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ+ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ“, WISG, 2016, გვ. 120.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

ნარკომანების (25%) შემდგომ, ჰომოსექსუალები მესამე ადგილს იკავებენ და გამოკითხულთა 24%-ს შეადგენენ.⁶

ევროსაბჭოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისთვის უმცირესობების უფლებების დაცვა, ლგბტ+ ჯგუფის შესახებ დადებითი პასუხი ყველაზე ნაკლებ პროცენტულ მაჩვენებელში გამოიხატა (33%), 42% კი აღნიშნავს, რომ ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვა არ არის მნიშვნელოვანი.⁷

ამ უკანასკნელი კვლევის მიხედვით, რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლგბტ+ ადამიანების დაცვას, ადამიანის მიერ უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღქმის რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი განმაპირობებელია სქესი. კერძოდ, როგორც კვლევა აჩვენებს, გაცილებით ნაკლებად სავარაუდოა მამაკაცების მიერ ლგბტ+ თემის უფლებების დაცვის მხარდაჭერა, ვიდრე რელიგიური უმცირესობებისა. რაც შეეხება ზოგადად უფლებებს, მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ გაცილებით მეტი შანსია, ლგბტ+ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვნად მიიჩნიოს უმცირესობების უფლებების შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულმა ადამიანმა.⁸

კვლევები მიუთითებს, რომ ლგბტ+ ადამიანთა მიმართ კვლავ არსებობს ნეგატიური წინასწარგანწყობები, რაც ხშირად გამოიხატება დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში, რომელიც ლგბტ+ ადამიანებს მუდმივი საფრთხის წინაშე ამყოფებს და შედეგობრივად, მათ სოციალურ და ეკონომიკურ გარიყულობასაც განაპირობებს.

6 CRRC. (2020). ცვლილებათა ათწლეული: მოსაზრებები და ღირებულებები საქართველოში, (2009-2019). Tbilisi: CRRC- საქართველო, Caucasus Barometer.

7 CoE, C. (2018). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა. თბილისი: ევროპის საბჭო.

8 იქვე.

4. თანასწორობის უზრუნველყოფი კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობამ და პოლიტიკამ არსებითი ცვლილებები განიცადა, რამაც ხელი შეუწყო ლგბტ+ ჯგუფის საკანონმდებლო აღიარებას. სამართლებრივი გარემოს დახვეწის ერთ-ერთ მიზეზი იყო საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება⁹ საქართველოსგან მოითხოვდა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონმდებლობის მიღებას, რომელიც, დაცულ საფუძვლებს შორის, სხვა ნიშნებთან ერთად, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასაც მოიაზრებდა.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, რომელიც, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, დაცულ საფუძვლებს შორის სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასაც მოიცავს. თუმცა კანონში თავდაპირველად არსებული აღსრულების მექანიზმებისთვის მინიჭებული შეზღუდული მანდატი დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის დაცვის შესაბამის სტანდარტს და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ვერც ინდივიდუალურ შემთხვევაში, და ვერც ზოგად პრაქტიკაში უზრუნველყოფდა. კანონის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მასში ცვლილებები მხოლოდ 2019 წელს შევიდა, რამაც, გარკვეულწილად, კანონის აღსრულების მექანიზმიც გააძლიერა და შესაბამისად, სახალხო დამცველს დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების მეტი შესაძლებლობა გაუჩინა.

უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმებში ლგბტ+ უფლებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების გაჩენაც. 2014 წლიდან სამთავრობო გეგმებში უკვე შეტანილი იყო სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით გარკვეული საქმიანობები, თუმცა მათი განხორციელების სტატუსი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმამ ასევე მოიცვა ლგბტ+ ჯგუფის უფლებებთან დაკავშირებული ღონისძიებები, თუმცა სპეციალური ქვეთავი, რომელიც ამ საკითხს შეეხებოდა, გეგმაში მხოლოდ 2020 წელს გაჩნდა.¹⁰

მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, თანასწორობის პოლიტიკის აღსრულება და მისი პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელება კვლავ პრობლემურია. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას ლგბტ+ ჯგუფის მიმართ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მონყვლადი ჯგუფია საქართველოში, და რომლის მიმართაც სტიგმა და დისკრიმინაცია უთანასწორო მოპყრობის მრავლობით ფორმებში გამოიხატება. მიუხედავად მრავალი საკანონმდებლო აქტისა თუ ეროვნული სამოქმედო გეგმებისა, რომელთაც უზრუნველყოფს ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის ვალდებულების მოაზრება, რეალურ ცხოვრებაზე ეს ცვლილებები არ ასახულა, რაც სახელმწიფოს ზედაპირულ და არასისტემურ მიდგომაში გამოიხატება, რის გამოც ინსტიტუციური ცვლილებები ლგბტ+ თემის წევრთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე არ აისახება.¹¹

9 საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ვიზალიბერალიზაციის შეთანხმება, 2014.

10 საქართველოს პარლამენტს, 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმის 2020 წლის შესრულების ანგარიში, კვლევის მიმდინარეობის პროცესში, ჯერ კიდევ არ ჰქონია დამტკიცებული, შესაბამისად, ვერ ხერხდება მისი დეტალური შეფასება.

11 ჯალაღანია ლ. ლგბტ+ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020.

5. დისკრიმინაციისგან დაცვა და თანასწორობა

5.1. ეროვნულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტებისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის სისტემაში ლგბტ+ ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხი ყოველთვის იდგა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის შემოტანა საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში ყველაზე ხილვადი 1990-იანი წლებიდან გახდა.¹² ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის, გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR), ექსპლიციტიურად არ შეიცავს სოგი-ს ნიშანს, თუმცა მოგვიანებით ჩამოყალიბებულ განმარტებით დოკუმენტებსა თუ გადაწყვეტილებებში ეს ნიშნები დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძველებში მოიაზრება.

გაეროს სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2016 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილ სპეციალური პროცედურის მანდატს - დამოუკიდებელ ექსპერტს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ.¹³ დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატი, მრავალ ვალდებულებათა შორის, მოიცავს ლგბტ+ ადამიანთა უფლებადარღვევების ანალიზსა და ინფორმაციის მოძიებას, კონკრეტულ სახელმწიფოთა კანონმდებლობისა და პოლიტიკის მისადაგების შეფასებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ქვეყანაში სპეციალური ვიზიტების დაგეგმვას და განხორციელებას, ისევე როგორც, რეკომენდაციების გაცემას კონკრეტული სახელმწიფოსა და სამიზნე ჯგუფებისათვის. გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი საქართველოში 2018 წელს იმყოფებოდა.¹⁴ ვიზიტის დროს ექსპერტმა სრულყოფილად შეაფასა სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ლგბტ+ ჯგუფის უფლებების უზრუნველსაყოფად და ასევე, თავად ჯგუფისა და მათი მხარდამჭერების რეალური მდგომარეობა, რომლის შედეგები ვიზიტის შედეგად შემუშავებულ ანგარიშში დეტალურად იქნა მიმოხილული და მრავალ დადებით ნაბიჯთან ერთად, მკაცრად იქნა შეფასებული დისკრიმინაციის გავრცელებული პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული სერიოზული გამოწვევები, შრომის, სერვისის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ნაწილში.¹⁵

12 ერთ-ერთი პირველი სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს ეფუძნება, არის იოგიაკარტას პრინციპები (2007), რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ექსპერტებისა და აქტივისტების კოლექტიური შეთანხმებით შექმნილი დოკუმენტია სექსუალურ ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებით ყველა ფორმის დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად. დოკუმენტი აღნიშნავს, რომ ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ადამიანის უფლებებით სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. კანონი უნდა კრძალავდეს ნებისმიერ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფდეს ყველასთვის უფლებათა თანასწორად დაცვის გარანტირებას. იხ: https://outrightinternational.org/sites/default/files/Activists_Guide_Yogyakarta_Principles.pdf

13 იხილეთ დეტალურად: <https://www.ohchr.org/en/issues/sexualorientationgender/pages/index.aspx>

14 საინტერესოა, რომ სპეციალური ექსპერტი საქართველოში სახელმწიფოს თხოვნით ჩამოვიდა.

15 Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity, Visit to Georgia, 15 May 2019, იხ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR>

აქვე, აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის კომისია (ECRI) ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წევრ ქვეყნებში არსებულ ჰომოფობიის მაღალ მაჩვენებელს, და შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულებას აკისრებს. საქართველოს შესახებ ანგარიშში, ECRI საგანგებოდ მიუთითებს ქვეყანაში გავრცელებულ ჰომოფობიურ დისკრიმინაციასა და ძალადობის მაღალ მაჩვენებელზე და სახელმწიფოს მოუწოდებს, „გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება [ლგბტ პირთა მიმართ] ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული დეპარტამენტის შექმნაში. ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად“.¹⁶

საქართველომ 2014 წელს მიიღო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, რომელიც დაცულ საფუძვლებს შორის მოიაზრებს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. თუმცა კანონის მიღების მიუხედავად, მასში არსებული დანაწესები არ იძლეოდა კანონის ეფექტიანი აღსრულების შესაძლებლობას. კერძოდ, კანონში არსებული დაცვის მექანიზმები - საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული მანდატი და გასაჩივრების ვადები, საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს პარლამენტს მისი მანდატის გაძლიერებისა და კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საჭიროებასთან დაკავშირებით, თუმცა ხელშესახები ცვლილებები კანონში 2019 წლამდე არ შესულა.

2019 წელს შეტანილმა ცვლილებებმა ხსენებული ორივე საკითხი რეგულირებას დაუქვემდებარა და სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირებზე საჯარო უწყებების მსგავსი სამართლებრივი რეგულირებით გავრცელდა და ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრა.¹⁷ ამასთანავე, სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველი „უფლებამოსილია, როგორც მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მენარმე სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს“.¹⁸ აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებების შემდეგ, კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა - ფიზიკური პირების და კერძო სექტორის მიმართ გაცემული რეკომენდაციების/ზოგადი წინადადებების 36% გაიზიარეს მოპასუხეებმა. საჯარო სექტორის მიერ შესრულების/გაზიარების მაჩვენებელი კი 50%-ია.¹⁹

16 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 108, nb: <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775>

17 მუხლი 23, პუნქტი 1;2;5.


18 პუნქტი თ).

19 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2020, გვ. 6, nb: <https://ombudsman.ge/res/docs/2021050611590027208.pdf>

მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი მიმართვის ვადების ცვლილებაც. 2019 წელს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3632 მუხლში შესული ცვლილების მიხედვით,²⁰ სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელი გახდა 1 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც პირი გაიგებს, ან პირს უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ასევე დაზუსტდა შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტზე მიმართვის საკითხი, კერძოდ, 3632 მუხლის 21 მუხლის მიხედვით, პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს მაშინაც, თუ შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა, დასრულებულია. ცხადია, ვადების ამგვარი ცვლილება დადებით გავლენას მოახდენს დისკრიმინაციის მსხვერპლის თუ მესამე პირების მიერ ფაქტის გამოვლენაზე, მომზადებასა და შემდგომ სასამართლოსადმი მიმართვაზე.

თუმცა, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, ქვეყანაში თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის პრაქტიკაში დამკვიდრება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს სახალხო დამცველის პრაქტიკის მიხედვით, 2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც გარკვეულწილად ამაღლდა ცნობიერება დისკრიმინაციის შესახებ, სქესის/გენდერის ნიშანთან ერთად, განსაკუთრებით გაიზარდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციაზე მიმართვის შემთხვევები. თუმცა მიუხედავად ჯგუფის მიმართ არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის ფართო მასშტაბისა, მიმართვიანობა სახალხო დამცველისადმი, კვლავ დაბალია. მაგალითისთვის, 2019 წელს სახალხო დამცველისადმი დისკრიმინაციის ფაქტზე მიმართვის სულ 155 შემთხვევიდან, მხოლოდ 14% შეეხებოდა სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციას. 2020 წელს კი, სახალხო დამცველის აპარატში შესული 113 განცხადებიდან, სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტზე მხოლოდ 6%-მა მიმართა. იხილეთ ცხრილი №1.

ცხრილი №1. სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციაზე სახალხო დამცველისადმი მიმართვის პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით.



20 მუხლი 3632, ნაწილი 1.

ლგბტ+ სათემო ორგანიზაციათა პრაქტიკაში, სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციის ფორმების თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებულია უთანასწორო მოპყრობა მომსახურების განწევაზე, პროდუქტსა თუ აქციით სარგებლობაზე უარის თქმის ფორმით.²¹ ასევე, ხშირია დისკრიმინაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც დისკრიმინაციული სახელმძღვანელოების არსებობის, ასევე, სასწავლებლებში დასაქმებული ლექტორებისა და ადმინისტრაციის მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის მხრივაც.²²

დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ გარკვეული ვალდებულებები განერილია საქართველოს სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, თუმცა მიღებული ზომები საკმარისი არ არის დისკრიმინაციული პრაქტიკის დასაძლევად. საქართველოს სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის არ ითვალისწინებდა იმ ნაწილს, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა სოგი-სთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული ნაწილი არც 2019 წლის ბოლოს ყოფილა დამტკიცებული, რითიც დასტურდება კიდევ სახელმწიფოსათვის ლგბტ+ თემის წინაშე არსებული საკითხების არააქტუალობა.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ საზოგადოებაში არსებულ დაბალ ცნობიერებაზე, რაც სახელმწიფოს მიერ ქმედითი ზომების მიღებით უნდა დაიძლიოს.

ა) სიძულვილის ენა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქებებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.²³

სიძულვილის ენა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლგბტ+ ადამიანთა წინააღმდეგ. საქართველოში განსაკუთრებული პრობლემაა პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან სიძულვილის ენის გავრცელების პრაქტიკა, რომელიც არსებითად ნეგატიურად აისახება ლგბტ+ ჯგუფის სოციალურ მიმდებლობასა და ძალადობის მასშტაბზე. ბოლო წლებში პოლიტიკოსების მხრიდან გაუღერებული სიძულვილის შემცველი და ლგბტ+ ჯგუფის მიმართ არამხარდამჭერი ენის გამოყენებამ, ძალადობის ლეგიტიმიზებისა და ლგბტ+ ჯგუფის მიმართ ძალადობის გაზრდის მხრივ, საზოგადოებას მძიმე შედეგები მოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსების მხრიდან გამოხატული სიძულვილის ენა არ შეიცავს ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდებას, ის, უმცირესობათა ხმის ჩაგვრის ხარჯზე, უმრავლესობის ნების პრიორიტეტებისა და დომინაციისკენ არის მიმართული. ირიბად კი, ლგბტ+ ჯგუფის მიმართ ძალადობისა და უარყოფითი დამოკიდებულებების გასაძლიერებლად და შესანარჩუნებლად, ნოყიერი ნიადაგი იქმნება.

21 კოალიცია თანასწორობისთვის, 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2020, გვ. 47, იხ: http://equalitycoalition.ge/files/shares/saqmianobiis-angaariSi_2019.pdf

22 იქვე

23 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე №R (97) 20., 1997.

პოლიტიკური ჰომოფობია, როგორც მეთოდი, წინასაარჩევნო პერიოდში, წლების განმავლობაში აქტიურად გამოიყენებოდა ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედებისა და მხარდამჭერების მისამხრობად.²⁴

საქართველოს კანონმდებლობა სიძულვილის ენის ამგვარ რეგულირებას არ მოიცავს, თუმცა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის 2.5 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციის წახალისებას და ეს ნორმა გამოიყენება მაშინ, თუ სიძულვილის ენა სისხლის სამართლის სტანდარტს არ აღწევს. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდებას,²⁵ რაც სიძულვილის ენის ექსტრემალური გამოვლინებაა და ძალადობის მყისიერ საფრთხეებს ქმნის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა პრაქტიკაში ჯერაც არ გამოყენებულა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მაგალითი არსებობს, როდესაც სხვადასხვა პირის მიერ ლგბტ+ პირთა მიმართ რადიკალური ჰომოფობიური ენის გამოყენებასა და ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდებას ჰქონდა ადგილი, მათ შორის, „ალტ-ინფოს“ ეთერით, რომელიც ძალადობის მატერიაჟირებელი და ჰომოფობიური ტელეკომპანიაა. საინტერესოა, რომ ეს ტელეკომპანია საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ ეთერში უხამსობის შემცველი გადაცემების გამო, 2021 წლის ივლისში სამართალდამრღვევად ცნო. სამართალდარღვევის დადგენა დაეფუძნა 5, 6, 7 და 12 ივლისს „ალტ-ინფოს“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ გადაცემებს - „ალტ-ინტერვიუ“ და „ალტ-ანალიტიკას“.²⁶ აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანიის ეთერში გასული მასალა შეიცავდა არა უხამსობას, არამედ სიძულვილის ენასა და ძალადობის წახალისებას, რაზეც, სამწუხაროდ, კომუნიკაციების კომისიას არ უმსჯელია.²⁷

ამასთანავე, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უკვე 2021 წლის სექტემბერში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ძალადობრივ და ჰომოფობიურ პლატფორმა „ალტ-ინფოს“ მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობის უფლება მისცა,²⁸ მიუხედავად იმისა, რომ „ალტ-ინფოს“ პლატფორმიდან მიზოგინიური, ქსენოფობიური, ჰომოფობიური, დისკრიმინაციული და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილები ვრცელდებოდა, ხოლო მისი დამფუძნებლები და წამყვანები 5 ივლისის ძალადობრივი კონტრაქციის მონაწილეები და ორგანიზატორები იყვნენ.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სიძულვილის ენასთან გამკლავებისა და მისი პრევენციის შესაბამისი ქმედითი მექანიზმები, არც პოლიტიკოსთა მხრიდან ამგვარი ენის ტირაჟირებისგან თავის ასარიდებლად, და არც მედიის მხრიდან. ევროსაბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპულმა კომისიამ არაერთხელ მოუწოდა საქართველოს მიეღო ეფექტიანი ზომები სიძულვილის ენის რეგულირების ისეთი ჩარჩოს შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფდა კონკრეტული ჯგუფების დაცვას დისკრიმინაციისგან და არ იქნებებოდა მიმართული ამავე ჯგუფთა საწინააღმდეგოდ.²⁹ თუმცა სიძულვილის ენის ყველა გამოვლინების რეგულირების საჭიროებისა და საქართველოს კონტექსტში შესაბამისობის ანალიზის განხორციელებამდე,

24 იხ: <https://mythdetector.ge/ka/research/radikalizatsia-religiis-sakhelit-da-politikuri-oponentebis-cinaaghmdegvin-ristvis-iqenebs> აქვე აღსანიშნავია, რომ წყაროში მითითებული ფაქტი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზიზღის ენას პოლიტიკოსები მაშინაც კი მიმართავენ, როდესაც ლგბტ+ საკითხები არ დგას დღის წესრიგში და უკონტექსტოდ ახდენენ ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაციას და, შესაბამისად, მასზე აფუძნებენ პოლიტიკურ სტრატეგიებს.

25 სსკ, მუხლი 239¹

26 კომუნიკაციების კომისიამ „ალტ-ინფო“ უხამსობის ტირაჟირების გამო სამართალდამრღვევად ცნო, იხ: <https://formulanews.ge/News/54406>

27 ორგანიზაცია „მედიის უფლებების“ ანალიტიკური დოკუმენტი, იხ: https://drive.google.com/file/d/1sD8ixJKChh0v7jKF4tM7UNCgvCkfs4AY/view?fbclid=IwAR329zT_L3MH8cBT5eyz7vQgwSkD-FZqXW26CjLrfQnwr3WZi9AjZ07ysLQ

28 იხ: <https://formulanews.ge/News/56414>

29 ECRI report on Georgia, Fifth monitoring cycle, 2015.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ, სულ მცირე, შესაბამისი სამართლებრივი ზომები მაინც გამოიყენებოდეს სიძულვილის ენის რადიკალური გამოვლინების - ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდების - მიმართ.

ბ) ტრანს* ადამიანთა დისკრიმინაცია და გენდერის სამართლებრივი აღიარება

ლგბტ+ ჯგუფში ტრანს* ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში განსაკუთრებით მძიმეა. ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად ტრანსფობიის პრობლემის ხილვადობისა, სახელმწიფოს, ტრანს* ადამიანთა მდგომარეობის შემამსუბუქებელი და მათი უფლებების დაცვის ადეკვატური გარანტიების შემქმნელი შესაბამისი ზომები, არ მიუღია.

ტრანს* ადამიანები, გენდერის სამართლებრივი აღიარებლობის გამო, განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე იმყოფებიან. ეს აძლიერებს დისკრიმინაციულ პრაქტიკას და ტრანს* თემს ხელს უშლის სხვების თანასწორად ისარგებლონ თავიანთი კონსტიტუციური უფლებებით. შედეგად, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და განწყობები ცხოვრების ყველა სფეროში იჩენს თავს და მათ უთანასწორო მოპყრობის განგრძობითი და სისტემური პრაქტიკის წინაშე ტოვებს.

გენდერის სამართლებრივი აღიარება გულისხმობს ადამიანის სასურველი გენდერით ცხოვრებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნას. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით არაერთხელ იქნა აღიარებული გენდერის სამართლებრივი აღიარების მნიშვნელობა ტრანს* ადამიანებისათვის. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2048 (2015) რეზოლუცია, რომელიც ტრანს ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციას შეეხება, სახელმწიფოებს მოუწოდებს:³⁰

- შეიმუშაონ სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები, რათა ტრანსგენდერ პირებს შეეძლოთ თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებით სახელისა და რეგისტრირებული სქესის შეცვლა დაბადების მოწმობაში, პასპორტში, საგანმანათლებლო სერტიფიკატებში და სხვა მსგავს დოკუმენტებში; ეს პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისთვის, რომელსაც სურს მისი გამოყენება, მიუხედავად ასაკისა, ჯანმრთელობის სტატუსისა, ფინანსური მდგომარეობისა და საპოლიციო ჩანაწერებისა;
- გააუქმონ სტერილიზაციისა და სხვა იძულებითი სამედიცინო მკურნალობის მოთხოვნები, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზი, როგორც სავალდებულო მოთხოვნა/წინაპირობა ადამიანის გენდერული იდენტობის საღიარებლად იმ კანონებში, რომლებიც არეგულირებენ პირის მიერ სახელისა და რეგისტრირებული გენდერის შეცვლის პროცედურებს;
- გააუქმონ ყველა აკრძალვა ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, დარჩენ არსებულ ქორწინებაში მათი გენდერის აღიარებამდე; უზრუნველყონ, რომ მეუღლეები ან ბავშვები ამ პროცედურით არ დაკარგავენ გარკვეულ უფლებებს;
- იმუშაონ შესაძლებლობაზე, რომ მათთვის, ვისაც ეს სურს, მოქალაქეთა იდენტიფიკაციის დოკუმენტებში მესამე გენდერი ჩაემატოს.

რეზოლუცია გამყარებულია ბოლო წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაც. მაგალითად, ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებაში, საქმეზე, X. and

30 PACE, Resolution 2048 (2015), Discrimination against transgender people in Europe, პარა. 6.2., იხ: <https://pace.coe.int/pdf/d553e6df013e8a0c8d587204abdc69e4c66e8875191093ea7788766390d33743/resolution%202048.pdf>

Y. v. Romania, რომელიც შეეხებოდა ორ ტრანსგენდერ ადამიანს, რომელთაც ეროვნული სასამართლოების მიერ უარი ეთქვათ მათი გენდერული იდენტობის აღიარებასა და შესაბამისი ადმინისტრაციული კორექციების განხორციელებაზე იმ მიზეზით, რომ არ წარმოადგინეს გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის დამადასტურებელი მტკიცებულება, სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაადგინა და აღნიშნა, რომ ეროვნული ინსტიტუციების უარი გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე, აპლიკანტების მიერ გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის ჩაუტარებლობის გამო, გაუმართლებელი ჩარევა იყო მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში, რასაც ამწვავებდა რუმინეთში გენდერის სამართლებრივი აღიარების ცხადი და გამჭვირვალე კანონმდებლობისა თუ პროცედურების არარსებობა. სასამართლოს ხედვით, ეროვნულმა სასამართლოებმა, აპლიკანტები, რომელთაც არ სურდათ ოპერაციის გაკეთება, წარმოუდგენელი დილემის წინაშე დააყენეს, კერძოდ, მათ ან სურვილის საწინააღმდეგოდ უნდა გაეკლოთ ეს სამედიცინო პროცედურა, და შესაბამისად, უარი ეთქვათ მათი ფიზიკური ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლების სრულ განხორციელებაზე, ან უარი ეთქვათ თავიანთი გენდერის აღიარებაზე, რომელიც ასევე მოდის წინააღმდეგობაში პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან.³¹

საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი არ არის სამართლებრივად რეგულირებული, ასევე ბუნდოვანია ის ზოგადი პროცედურები, რომლის ქვეშაც შეიძლება მოიაზრებოდეს ამ პროცესის გავლა. ერთადერთი მარეგულირებელი კანონი, რომელიც ამ საკითხს შეეხება, საქართველოს სამოქალაქო აქტების შესახებ კანონია, რომლის 78-ე მუხლი სამოქალაქო აქტში ცვლილების შეტანის ერთ-ერთ საფუძვლად სქესის შეცვლას ასახელებს.³² თუმცა კანონი არც ამჯერად განმარტავს „სქესის შეცვლას“ და არც მასთან დაკავშირებულ რაიმე წინარე პროცედურებს განსაზღვრავს. ამრიგად, გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი მთლიანად ადგილობრივი სასამართლოებისა და ადმინისტრაციული უწყებების პრაქტიკაზეა დამოკიდებული, რომლებიც, როგორც სათემო ორგანიზაციათა პრაქტიკა აჩვენებს, გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის გაუმართლებელ წინაპირობებს იყენებენ. კერძოდ, ამ პროცედურით მოსარგებლე ადამიანს უწევს არასაჭირო, იძულებითი და ზოგიერთ შემთხვევაში, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი სამედიცინო/ქირურგიული ოპერაციის გავლა, რათა შეძლოს ამ ადმინისტრაციული პროცედურით სარგებლობა და მისი სასურველი გენდერით ლეგალურად ცხოვრება.³³

სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის (სოგის) ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის თაობაზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხს დეტალურად აანალიზებს და გამოყოფს ზემოთ აღნიშნულ დაბრკოლებებს, რომლებიც ტრანს* ადამიანებს სასურველი გენდერით ცხოვრების შესაძლებლობას ართმევს და დამკვიდრებულ პრაქტიკას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტთან შეუსაბამოდ მიიჩნევს. ანგარიშის მიხედვით, ამგვარმა პრაქტიკამ, შესაძლოა, მწვავე და სამუდამო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა და ტკივილი გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის იძულებითი ხასიათისაა. იძულებამ, შესაძლოა, დაარღვიოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან თავისუფლების უფლება. სტერილიზაციის მოთხოვნა ასევე არღვევს პირის სხეულებრივი მთლიანობის, თვითგანსაზღვრისა და ღირსების უფლებას და, შესაძლოა,

31 AFFAIRE X ET Y c. ROUMANIE, (Requêtes nos 2145/16 et 20607/16), STRASBOURG, 19 Janvier, 2021, პარა. 165, იხ. მხოლოდ ფრანგულად: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-207364%22>]

32 მუხლი 78, პუნქტი ზ.

33 Universal Periodic Review (UPR) Georgia, UPR third Cycle, 37th Working Group Session, January 2021, Joint Stakeholders' submission of 8 July, 2020 by Women's Initiative's Supporting Group (WISG) and by ILGA-Europe on "Discrimination on the basis of sexual orientation and gender identity in Georgia", პარა. 34-35, იხ: https://wisg.org/Data/docs/publications/report/WISG%20and%20ILGA-Europe_%20joint%20UPR%20submission_Georgia_Jan%202021.pdf

ტრანსგენდერ ადამიანთა მუდმივი დისკრიმინაციის საფუძველიც გახდეს.³⁴ ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის აღიარების პროცედურების არარსებობა მათ დისკრიმინაციის მუდმივ მსხვერპლებად აქცევს ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, დასაქმებაში, საბინაო პოლიტიკასა და სოციალურ დაცვაში, რაც ასევე იწვევს მათ სოციალურ ექსკლუზიასა და ძალადობას, და ასევე ზღუდავს მათ თავისუფალ გადაადგილებასაც.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ექსპერტი მითითებას აძლევს საქართველოს, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარების სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ტრანს ადამიანებს შეიცვალონ მათი სახელი და გენდერული მარკერი იდენტობის დამადასტურებელ დოკუმენტებში, უნდა წარმოადგენდეს მარტივ ადმინისტრაციულ პროცესს, რომელიც დაეფუძნება თვითაღქმას და რომელიც, უნდა იყოს ხელმისაწვდომი, კერძოდ კი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფასო.³⁵

აქვე, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ სამი საქმეა გაგზავნილი, სადაც ტრანს აპლიკანტებს ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები წარმოადგენენ. ამ საქმეებზე სასამართლომ დაიწყო კომუნიკაცია, თუმცა გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

5.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკაზე

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სწრაფი შეფასება კოვიდ 19-ის გავლენის შესახებ, დისკრიმინაციის შესაძლო ზრდას პანდემიის ერთ-ერთ ნეგატიურ შედეგად ასახელებს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 8%-მა განაცხადა, რომ იგრძნო პანდემიის დროს დისკრიმინაციის ზრდა, 5%-მა - არ იცის, ხოლო დანარჩენმა (86%) უარყოფითი პასუხი გასცა.³⁶

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული ვითარება უარყოფითად აისახა ცალკეული ჯგუფების თანასწორუფლებიანობაზე. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გატარებული ღონისძიებები, რაც შემთხვევებში, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა ცალკეულ პირებს, კერძოდ, სახალხო დამცველი გამოყოფს მოქალაქეობის, ასაკისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის დისპროპორციულად ხშირ შემთხვევებს.³⁷

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე სათემო ორგანიზაციათა წარმომადგენლები კრიტიკულად აფასებდნენ სახელმწიფოში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ფუნქციურობას და აღნიშნავდნენ, რომ არსებული მდგომარეობის ფონზე, ლგბტ+ თემის წევრთა უპრეცედენტოდ დიდი ნაწილი ცდილობს დატოვოს ქვეყანა და იმიგრაციაში წავიდეს, მათ შორის, ის ახალგაზრდები, რომელთაც საქართველოში გარკვეული პერსპექტივები ესახებოდათ.³⁸

34 A/HRC/41/45/Add.1, Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity*, 15 May, 2019, პარ. 67, იხ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuj6lMh0KqfYO9D1vUNMQv4SWO0LSiwgZcH7UQCeSdylM71tmToyZo>

35 იქვე, პარა. 68.

36 საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, 2020, იხ: <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/rga%20unw-geo.pdf?la=en&vs=5941>

37 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2021, იხ: <https://ombudsman.ge/geo/190308041856angarishebi/tanastsorobis-mdgomareobis-shesakheb-sakhalkho-damtsvelis-me-7-spetsialuri-angarishi>

38 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021; 30.09.2021.

6. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

6.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული გულისხმობს დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც განპირობებულია მთლიანად ან ნაწილობრივ კონკრეტული ჯგუფის მიმართ წინასწარგანწყობითა და ნეგატიური დამოკიდებულებებით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მოქმედი დეფინიციის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს „ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ, მათ შორის ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რეალური ან ნავარაუდები კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით [კონკრეტული] ჯგუფის მიმართ“.³⁹

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენციის კუთხით, საერთაშორისო საზოგადოებამ არაერთი ნაბიჯი გადადგა. გაეროსა და ევროსაბჭოს მექანიზმები სულ უფრო ხშირად მოუწოდებენ სახელმწიფოებს უზრუნველყონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა არსებითად გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო უწყებების მხრიდან დანაშაულთა მიმართ რეაგირების ხარისხის ასამაღლებლად, ასევე, სამართალდამცავ უწყებებსა და სასამართლოს შორის ერთიანი სტატიტიკის საწარმოებლად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის, დროულობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს.⁴⁰ სახელმწიფოს დღემდე არ აქვს შექმნილი სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგია, რაც უზრუნველყოფდა ამგვარ დანაშაულთა ნეგატიური სოციალური ეფექტის გამოვლენას, რაც, შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს როგორც საზოგადოებაში პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას, ისე დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში მიღებული რეკომენდაციის⁴¹, ECRI-ს მიერ საქართველოს შესახებ ანგარიშში მითითებული რეკომენდაციის⁴², ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ამ უკანასკნელმა სახელმწიფოს მოუწოდა, რომ „შექმნას პოლიციის სპეციალიზებული დანაყოფი/უწყება, რომელიც საგანგებოდ იმუშავებს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე. ამ დანაყოფის

39 OSCE/ODIHR annual report for 2006, გვ. 9. იხ: <http://www.osce.org/odihr/26759?download=true>

40 ჯალაღანია ლ. „ღებტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020.

41 აღნიშნული რეკომენდაცია შვედეთის მთავრობის მიერ გაიცა.

42 ევროპული კომისის რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 68.

შექმნისას ხელისუფლებამ კომპეტენტური საექსპერტო რჩევისთვის უნდა მიმართოს სახალხო დამცველს, ასევე, შესაბამის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს⁴³. თუმცა, მიუხედავად ამ რეკომენდაციებისა, შექმნილი დეპარტამენტი არსებითად ფართო თემატური ბლოკებით დაიტვირთა. კერძოდ, დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საპოლიციო რეაგირებაზე ზედამხედველობის გარდა, მის მანდატში შედის ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოძიებაზე ზედამხედველობაც⁴⁴. დეპარტამენტის ამგვარი არსებითად ფართო სამუშაო სფერო, გარკვეულწილად აფერხებს მის ეფექტიანობას პრაქტიკაში. ამასთანავე, ყურადსაღებია, რომ განსხვავებით ზემოხსენებული რეკომენდაციებისგან, ეს დეპარტამენტი დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიებაზე ზედამხედველი უწყებაა, რომელიც თავად არ იძიებს დანაშაულებს და არ უზრუნველყოფს მასზე სისხლისსამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივ რეაგირებას. შესაბამისად, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ პოლიციის სისტემაში სპეციალიზებული საგამოძიებო უწყების შემცვლელად, როგორც მიუთითებდა ECRI-ს საქართველოს შესახებ 2018 წლის შუალედური ანგარიში⁴⁵.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოვლენის თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს 2020 წლის სექტემბერში გაფორმებული მემორანდუმი საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოს შორის⁴⁶. მემორანდუმით გათვალისწინებულია უწყებების ანგარიშვალდებულება ერთმანეთის მიმართ ინფორმაციის გაზიარების თაობაზე, სტატისტიკის წარმოება და ერთიანი ანგარიშის გამოცემა⁴⁷. საქსტატმა 2021 წელს გამოაქვეყნა პირველი უნიფიცირებული ანგარიში⁴⁸, სადაც შესაბამისი სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულისა და მოტივის გარდა, ასევე არის მითითება შესაძლო დამნაშავეთა ასაკზე, სქესსა და დანაშაულის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ უნიფიცირებული სტატისტიკის წარმოების კუთხით, ზემოაღნიშნული ანგარიში მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია, უნდა აღინიშნოს, რომ მასში თავმოყრილი ინფორმაცია ანალიზის სუსტ შესაძლებლობებს იძლევა. რადგანაც ანგარიში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ფართო სპექტრს ეხება (ასაკი, რასა, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობა, რელიგიური აღმსარებლობა, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და სხვ.), ის არ იძლევა კონკრეტული ნიშნის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ჩაშლის შესაძლებლობას დამნაშავე/მსხვერპლის ასაკის, დამნაშავე/მსხვერპლს შორის კავშირის, დანაშაულის სიმძიმისა თუ ფორმის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანგარიში ერთმანეთთან არ აკავშირებს სხვადასხვა ცვლადებს, რაც შესაძლებელს გახდის დანაშაულთა მიზეზების, გავრცელებისა თუ ბუნების გაანალიზებას.

43 იქვე.

44 იხ: <https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti>

45 ECRI CONCLUSIONS ON THE IMPLEMENTATION OF THE RECOMMENDATIONS IN RESPECT OF GEORGIA SUBJECT TO INTERIM FOLLOW-UP, Adopted on 5 December 2018, Published on 5 March 2019, იხ: <https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e>

46 იხ: <https://www.geostat.ge/ka/single-news/1941/urtierttanamashromlobis-otkhmkhrivi-memorandum>

47 იქვე.

48 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2020 წლის ოქტომბერი - დეკემბერი, იხ: https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf?fbclid=IwAR1TRZdklfuunM_i3sVTPy5vOZdVFETtIFo9Krnfb5lb7AjeEfffVWE98s

ანგარიშის თანახმად, 2020 წლის ოქტომბერ-დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტრომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ შესაძლო 13 დანაშაულზე დაიწყო გამოძიება,⁴⁹ ხოლო პროკურატურამ 5 საქმეზე განახორციელა სისხლისსამართლებრივი დევნა (სექსუალური ორიენტაცია - 3, გენდერული იდენტობა - 2).⁵⁰ საქართველოს პროკურატურის 2020 წლის ანგარიშის⁵¹ მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის წინააღმდეგ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე. სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაში (სულ 8) ექვს საქმეში დევნა განხორციელდა სსკ-ის 126-ე მუხლის (ძალადობა), ხოლო 2 შემთხვევაში - 1571 მუხლის (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) საფუძველზე. გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაში (სულ 9) დევნა დაიწყო ექვს შემთხვევაში 126-ე მუხლით (ძალადობა), ორ შემთხვევაში - სსკ-ის 151-ე მუხლის (მუქარა) და 126-ე¹ მუხლების (ოჯახში ძალადობა) საფუძველზე.

საქართველოს პროკურატურის მიერ სოგი-ს საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მაჩვენებელი 2019 წელს, 2020 წელთან შედარებით, მაღალი იყო. კერძოდ, დევნა დაიწყო 30 საქმეზე, აქედან, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 11 საქმეზე, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით - 19 საქმეზე.⁵² დანაშაულის ყველაზე ხშირი ფორმები აღნიშნულ წელსაც, ძალადობა და მუქარაა, ასევე იკვეთება ოჯახში ძალადობის შემთხვევებიც.⁵³

სოგი-ს საფუძველზე ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გარდა, ცალკე უნდა გამოიყოს სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტთა შესახებ სტატისტიკის წარმოების კუთხით არსებული პრობლემა. რადგან დღეს მოქმედი კანონმდებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების ან/და მისი ჩადენის მოტივის აღნიშვნის შესაძლებლობას არ იძლევა, შესაბამისად, ვერც სტატისტიკაში აისახება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოტანილ გადანყვეტილებებში ასევე არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძველით მიადგა.⁵⁴ სახალხო დამცველი ასეთ პრაქტიკას პრობლემურად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მონაცემების შეგროვების კუთხით არსებული ამგვარი ჩავარდნა მნიშვნელოვნად ართულებს სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ საქმეებზე გამართული სტატისტიკის წარმოებას და ზრდის შესაძლებლობას, ყურადღების მიღმა დარჩეს სიძულვილის მოტივით ჩადენილი კანონ-საწინააღმდეგო ფაქტები.⁵⁵

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ლგბტ+ ჯგუფზე მომუშავე არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციათა სტატისტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების მასშტაბის განსხვავებულ მონაცემებს აჩვენებს. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი

49 იქვე.

50 იქვე.

51 საქართველოს გენერალური პროკურატურა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზი, 2020 წლის 9 თვე, იხ: <https://pog.gov.ge/uploads/2fa0e929-sheuwynareblobiT-motivirebuli-danashaulebis-analizi-2020-w.pdf>

52 საქართველოს გენერალური პროკურატურა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, 2019 წლის 11 თვე, იხ: <https://pog.gov.ge/uploads/e308b918-siZulviliT-motivirebuli-danaSaulebis-analizi-2019-weli.pdf>

53 იქვე.

54 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ, 2021, გვ. 19-20. იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2021051415512039554.pdf>

55 იქვე, გვ. 20.

ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015-2018 წლების პერიოდში, საქართველოში 226 რესპონდენტი გახდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა თუ ინციდენტის მსხვერპლი.⁵⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის⁵⁷ მიხედვით, რესპონდენტების 52% (N=320) ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი მთლიანად ან ნაწილობრივ, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გამო. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი, რესპონდენტთა 56% ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. როგორც კვლევა აჩვენებს, ძალადობა ყველაზე ხშირად მუქარასა (ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის) და ფიზიკურ ძალადობაში გამოიხატება, რასაც ყველაზე ხშირად ადგილი აქვს ქუჩასა და ონლაინ სივრცეში.⁵⁸ ბოლო ორი წლის განმავლობაში ფსიქოლოგიურ ძალადობას დაექვემდებარა რესპონდენტთა 48.4%, ხოლო ფიზიკურ ძალადობას - 29.4%.⁵⁹

დამატებით, 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთაგან, ათიდან შვიდი რესპონდენტი ერთხელ მაინც გამხდარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი ბოლო 2 წლის განმავლობაში (N=155, 73.5%). მათ შორის, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ან შვეინროების მსხვერპლი გამხდარა ყოველი მესამე (N=147, 30.3%), 68.7% (N=145) კი - ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.⁶⁰

დანაშაულთა ამგვარ მასშტაბს ასევე ადასტურებს სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის (სოგის) ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის თაობაზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოს შესახებ, სადაც საგანგებოდ არის მითითებული, რომ „ცემა გავრცელებული პრაქტიკაა, ისევე როგორც მუდმივი შვეინროება და ბულინგი ოჯახის მხრიდან, გარიყვა სასწავლო პროცესიდან, სამუშაოდან და ჯანდაცვის დაწესებულებებიდან“.⁶¹ როგორც სათემო ორგანიზაციათა პრაქტიკა და კვლევები აჩვენებს, სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობა არსებითად დაბალია, რაც ასევე განაპირობებს მათ მიმართ დაბალ მიმართვიანობასაც. როგორც ზემოხსენებული კვლევა აჩვენებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ენდობა ლგბტ+ რესპონდენტთა 66%, საქართველოს პროკურატურას - 74%, ხოლო სასამართლოს - 58%.⁶² ნდობის ამგვარი დაბალი მაჩვენებელი არსებით ბარიერს წარმოადგენს ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულთა გამოვლენისა და მასზე ეფექტიანი რეაგირებისთვის. ამასთანავე, მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს არა დანაშაულის არარსებობაზე, არამედ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე, რომლებიც კომპლექსური მიდგომებითა და ფუნდამენტური რეფორმების გზით უნდა დაიდლიოს⁶³, რადგანაც პოლიციის ჰომოფობიური განწყობები დაბალი მიმართვიანობისა

56 აღდგომელაშვილი.ე., წინასწარგანყოფიდან თანასწორობამდე: ლგბტქი ადამიანები საქართველოში, 2018.

57 ჯალაღანია ლ. „ლგბტქი ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020, იხ: <https://socialjustice.org.ge/ka/products/lgbtk-jgufis-sotsialuri-ekskluziis-kvleva-sakartveloshi>

58 იქვე, გვ. 90-105.

59 იქვე, გვ. 90-105.

60 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

61 იხ: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR>

62 იქვე, გვ. 67.

63 ჯალაღანია ლ. „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2017.

და მის მიმართ ნდომის დაბალი ხარისხის შენარჩუნებას უწყობს ხელს. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ „მსხვერპლთა ნდომის მიზანი მართლმსაჯულებაზე არის არა ის, რომ ყველა მსხვერპლმა აუცილებლად მიმართოს პოლიციას, არამედ ყველა მსხვერპლს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა და წდვომა აღნიშნულის განსახორციელებლად“.⁶⁴

ცალკე უნდა აღინიშნოს სოგი-ს საფუძველზე ოჯახში ჩადენილი დანაშაულების მაღალი მაჩვენებელიც, რომელიც განსაკუთრებული სიხშირით ვლინდება არასამთავრობო და ლგბტ+ სათემო ორგანიზაციათა მიერ წარმოებულ სტატისტიკაში. ოჯახში ძალადობის კუთხით, ლგბტ+ თემი საქართველოში ერთ-ერთი რისკ ჯგუფია. როგორც კვლევები აჩვენებს, „ლგბტ თემის წევრების მიმართ არსებული ინსტიტუციური ჰეტეროსექსიზმი, ჰომოფობიის მაღალი ხარისხი და სოციალური გარიყულობა, რომელსაც ისინი ოჯახს გარეთ განიცდიან, მათ მეტად მონყვლადს ხდის ოჯახში ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ და ძალადობის განგრძობით ციკლში ამყოფებს“.⁶⁵ საქართველოს სამართალდამცავი სისტემის მიერ ამგვარ დანაშაულთა გამოვლენა არსებითად მნიშვნელოვანია მასთან გასამკლავებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის ამ ფორმის მიმართ პოლიტიკის შემქმნელებსა და სამართალდამცავ უწყებებს ადეკვატური ცოდნა ჰქონდეთ და მოხდეს ამგვარი დანაშაულის პრიორიტეტიზაცია, მის წინააღმდეგ პრევენციული პოლიტიკის ადეკვატურად დასაგეგმად და შესასრულებლად.⁶⁶

საქართველოში გავრცელებული ძალადობის მიუხედავად, როგორც აღინიშნა, მიმართვიანობა სამართალდამცავი უწყებებისადმი არსებითად მცირეა, რაც მათ მიმართ დაბალ ნდობას უკავშირდება. სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობას ამცირებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საქმეებზე სუსტი რეაგირება ან რეაგირების არარსებობა. ამის მაგალითია, 2019 წელს, ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფის შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე პოლიციის მხრიდან შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ზომების გამოუყენებლობა. ასევე, 2021 წლის 5-6 ივლისს რადიკალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე სამართალდამცავი უწყებების მხრიდან პოზიტიური ღონისძიებებისგან თავის არიდება და დამნაშავეთა დაუსჯელობა. ამგვარი პრაქტიკა ძირს უთხრის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და შეუძლებელს ხდის ჰომო/ტრანსფობიური ძალადობის მსხვერპლებისათვის იმგვარი გარემოს შექმნას, რომელიც მათ მიერ განცდილი ზიანის შესახებ მიმართვიანობას წახალისებს და მათ დაცულობას უზრუნველყოფს.

ა) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გავლენა და ეფექტი მარგინალიზებულ ჯგუფებზე, შესაძლოა, არსებითად მძიმე იყოს. ასეთი დანაშაულის მსხვერპლი უფრო მეტად განიცდის შიშის, დაუცველობის, დანაშაულის და სირცხვილის გრძნობას. შესაბამისად, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისგან მიღებული ტრავმა ბევრად უფრო სერიოზულია, მაშინაც კი, როდესაც თავად მართლსაწინააღმდეგო ქცევა, შესაძლოა, არ იყოს მძიმე ხარისხის.⁶⁷

ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის აღმოფხვრა და მსხვერპლთა უფლებების აღდგენა ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის განხორციელების ერთ-ერთი

64 FRA, Ensuring justice for hate crime victims: professional perspectives, 2016, გვ. 13, იხ: <https://www.refworld.org/pdfid/574fcf384.pdf>

65 ჯალალანია ლ. და ჩუთლაშვილი ე. „ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2018.

66 იქვე.

67 FRA, Ensuring justice for hate crime victims, a professional perspective, 2016.

ელემენტი. მსხვერპლთა უფლებების დაცვის ზოგადი მიზნები მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდუალური ზომების მიღებას, არამედ ფართოდ დანაშაულისა და მისი გავლენის ფუნდამენტურ გააზრებას. ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის მიხედვით, მსხვერპლის უფლებების აღდგენის მიზანი უნდა იყოს სტრუქტურული სუბორდინაციის, გენდერული იერარქიების, სისტემური მარგინალიზებისა და სტრუქტურული უთანასწორობის აღმოფხვრა, რაც ქალთა მიმართ ძალადობის ფუნდამენტური მიზეზია. როგორც სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს, მისი მიზანი ვერ იქნება მხოლოდ მსხვერპლის დანაშაულამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნება, არამედ ტრანსფორმაციული პოტენციალი უნდა ჰქონდეს.⁶⁸

საქართველოში დანაშაულის მსხვერპლის მხარდაჭერის ერთადერთ სერვისს სამართალდამცავ უწყებებში არსებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი წარმოადგენს. ინსტიტუტი პროკურატურის სისტემაში 2011 წლიდან არსებობს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში - 2019 წლიდან.⁶⁹

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ცვლილებებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა VIII თავი, რომელმაც გააფართოვა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლება-მოვალეობები. კოდექსის მიხედვით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია ჩაერთოს პროკურორის ან გამომძიებლის გადანყვეტილებით, რომლის მიზანია მოწმისთვის და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირება.⁷⁰ ამასთანავე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი მოწმესა და დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.⁷¹ მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას კოორდინატორი პრიორიტეტულად განიხილავს იმ მსხვერპლებთან კომუნიკაციის საკითხს, რომლებიც ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, სექსუალური ძალადობის შედეგად არიან დაზარალებულები.

თუმცა, ამ მექანიზმის დანერგვის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ კოორდინატორთა რიცხვი საქართველოს მასშტაბით ლიმიტირებულია,⁷² შესაბამისად, ისინი ვერ უზრუნველყოფენ პრაქტიკაში მსხვერპლებთან ეფექტიან კომუნიკაციასა და მხარდაჭერას. ამასთანავე, სათემო ორგანიზაციების პრაქტიკაში ასევე ჩანს, რომ კოორდინატორის სამუშაო ხშირად სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაციის ფორმალურ მიწოდებაში გამოიხატება და ნაკლებად წარმოადგენს მათი ემოციური თუ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმს.

68 A/HRC/23/49, პარა. 75, იხ: <https://undocs.org/A/HRC/23/49>

69 იხ: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amoqmedda/12442>

70 მუხლი 58¹, ნაწილი 1 და 2.

71 მუხლი 58², ნაწილი 11 (დ).

72 WISG, SHADOW REPORT to the Pre-sessional Working Group for the 81st session of the Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW) Upcoming Pre-Sessional Working Group (05 Jul 2021 - 09 Jul 2021), State party: Georgia, Discrimination and Violence Against Lesbian, Bisexual, Trans and Intersex Women in Georgia, იხ: https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/GEO/INT_CEDAW_ICO_GEO_45025_O.pdf

2021 წელს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ხუთიდან თითქმის სამი რესპონდენტი (58.3%, N=123) ამბობს, რომ ძალადობის შედეგებთან გასამკლავებლად ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებოდა. 123-იდან 37-მა იცოდა, სად მიეღო სერვისი, თუმცა, დახმარებისთვის არ მიუმართავს, 14-ისთვის ხელმიუწვდომელი იყო, ოთხმა რესპონდენტმა არ იცოდა სერვისის შესახებ. საჭიროების მქონე რესპონდენტთაგან ნახევარზე მეტმა მიიღო სერვისი (55%, N=68), მათგან, 52-მა სათემო ორგანიზაციაში.⁷³

ამავე კვლევის მიხედვით, სერვისებზე მოთხოვნის თვალსაზრისით, მეორე-მესამე ადგილზე სოცმუშაკისა და ადვოკატის სერვისებია. ექიმის დახმარება დასჭირვებია ძალადობის მსხვერპლთა მეხუთედს (21.3%, N=45). ხუთიდან ოთხმა შეძლო საჭირო სერვისის მიღება (N=35). 39-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ გამოიყენებდა ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერის ჯგუფების რესურსს, თუმცა, ასეთი სერვისების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ. ამასთანავე, ძალადობრივი გამოცდილების გამო, თავშესაფარი დასჭირდა 27 რესპონდენტს. სამს სათემო ორგანიზაცია დაეხმარა, ხუთმა სხვა რესურსები მოიძია, ოთხს არ მიუმართავს, დანარჩენებმა კი არ იცოდნენ, სად შეიძლებოდა მსგავსი სერვისის მიღება.⁷⁴

ამ საჭიროებებზე საპასუხოდ, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ერთიანი და ინტერუნწყებრივი მიდგომა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გათვალისწინებულია სამთავრობო სამოქმედო გეგმის მე-15 თავით, კერძოდ, სამოქმედო გეგმის სოგის ნიშნით გამოვლენილი მოწყვლადი ჯგუფებისთვის თავშესაფრის კონცეფციის პირველადი ვერსიის შემუშავება იყო დაგეგმილი⁷⁵, მაგრამ ეს გაკეთებულა. შედეგად, მსხვერპლთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისების ქვეშ არ ექცევა, შესაბამისად, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორები მსხვერპლს არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციებში ამისამართებენ. მართალია, სოგი-ს ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლებისათვის, შესაძლოა, უფრო უსაფრთხო და სანდო იყოს სათემო ორგანიზაციებთან ურთიერთობა და სწორედ მათ მიერ შეთავაზებული სერვისებით სარგებლობა, თუმცა ეს არ უნდა გამოორიცხავდეს სახელმწიფოს მიერ თავისი უწყებების ქვეშ უფასო, ფიზიკურად ხელმისაწვდომი და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი თანამშრომლებით დაკომპლექტებული სერვისების შექმნასა და განვითარებას. ამის საჭიროება განსაკუთრებით კრიტიკულად დგას რეგიონებში, სადაც ლგბტ+ სათემო ორგანიზაციათა დიდ ნაწილს არ აქვს რეგიონული ოფისები, ამასთანავე, მათი რესურსების მცირე მასშტაბებისა და დაფინანსების ლიმიტების⁷⁶ გათვალისწინებით, ის ვერ სწვდება და ვერ ახერხებს საქართველოს ყველა რეგიონში თემის წევრთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო მუშაობს ლგბტ+ ადამიანებზე მორგებული სერვისის კონცეფციაზე, რომელიც 2021 წლის ბოლომდე უნდა შემუშავდეს, რაც პროგრესულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

73 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

74 იქვე.

75 15.3.4. პუნქტი.

76 WISG, SHADOW REPORT to the Pre-sessional Working Group for the 81st session of the Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW) Upcoming Pre-Sessional Working Group (05 Jul 2021 - 09 Jul 2021), State party: Georgia, Discrimination and Violence Against Lesbian, Bisexual, Trans and Intersex Women in Georgia.

6.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკაზე

ლგბტ+ პირთა მდგომარეობაზე COVID-19-ით გამოწვეული ზიანი არსებითად ნეგატიურად აისახა. როგორც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშში⁷⁷ მითითებული, პანდემიის განმავლობაში დაწესებულმა სამთავრობო დირექტივებმა, რომლებიც იზოლაციასა და „სახლში დარჩენას“ გულისხმობდა, არსებითად გაზარდა სტრესი და ხელი შეუწყო ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის რისკის გაძლიერებას, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მიმართ.

არასტაბილურმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ძალადობრივი გარემოს დატოვების შესაძლებლობები შეამცირა. ასევე გართულდა და, ცალკეულ შემთხვევებში, დამძიმდა კიდევ, ადამიანთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. დამოუკიდებელი ექსპერტის ინფორმაციით, სხვადასხვა სერვისზე, განსაკუთრებით, მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებზე, მიმართვიანობა არსებითად გაიზარდა.⁷⁸

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მითითებულმა პრობლემებმა ასევე იჩინა თავი საქართველოში. „კოალიცია თანასწორობის“ განცხადებაში ნათქვამია, რომ ლგბტ+ ჯგუფი 2020 წლის 24 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანტიკრიზისული გეგმის 79 მიღმა დარჩა.⁸⁰ „ბევრი ქვიარ ადამიანი, რომელსაც პანდემიის პირობებში საცხოვრისის პრობლემა დაუდგა, ხშირად ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ან ოჯახიდან სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო მოკვეთილი და დევნილია. მათ განწყვეტილი აქვთ კავშირი ოჯახის წევრებთან და შესაბამისად, მათი დაბრუნება ოჯახში სარისკო და შეუძლებელია. სტრუქტურული და სისტემური ჰომო/ბო/ტრანსფობია, რომელიც ამგვარ განწყობებს სოციალურადაც აწარმოებს, სახელმწიფოს მხრიდან მრავალი წელია გამოხატულია პოლიტიკური ნების უქონლობაში, შეცვალოს ქვიარ ადამიანებისადმი დამოკიდებულების მძიმე მემკვიდრეობა, და შექმნას სოცი-ს ნიშნით დისკრიმინაციისა და მასთან გადაჯაჭვული ეკონომიკური, შრომითი, ჯანდაცვითი უთანასწორობის აღმოფხვრისკენ მიმართული, პროგრესული სოციალური პოლიტიკის პროექტი“.⁸¹

77 A/75/258, UN SOGI IE, Report to the UN General Assembly: THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC ON THE HUMAN RIGHTS OF LGBT PERSONS, 2020, nb: <https://undocs.org/A/75/258>

78 იქვე.

79 nb: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972

80 კოალიცია თანასწორობისთვის - ანტიკრიზისული გეგმის მიღმა დარჩენილთა საჭიროებებზე, 1 მაისი 2020.

81 იქვე.

7. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

7.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საკუთარი ხმის გაჟღერების ერთ-ერთი გარანტორიაა. მშვიდობიანი შეკრება და მანიფესტაცია ხშირად სწორედ მარგინალიზებული ჯგუფების მიერ მათ წინაშე არსებული პრობლემების გამოთქმის ერთ-ერთი და ხშირად, ერთადერთი ეფექტიანი გზაა. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში მშვიდობიანი შეკრების უფლება, თუნდაც, მიუხედავად მისი წინააღმდეგობრივი შინაარსისა, დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს და ამ უფლებაში ჩარევის ფარგლებიც შეფასების შესაბამის ტესტებს ექვემდებარება.

საქართველოს კონტექსტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2015), რომელშიც სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა. სასამართლოს მიხედვით, „სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან მათ უნდა სცოდნოდათ მოსალოდნელი დაძაბულობის რისკები, რაც დაკავშირებული იყო მომჩივანი ორგანიზაციის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დაგეგმილ ქუჩის მსვლელობასთან. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად - დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება, ასევე - გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე. გარდა ამისა, ლგბტ პროცესიის შედეგიდან ცხადი იყო, რომ დემონსტრაციის ადგილას განთავსებული საპატრულო პოლიციელების რიცხვი არასაკმარისი იყო. ქუჩის შეტაკებების მოსალოდნელობის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული იქნებოდა მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც უზრუნველყოფილი იქნებოდა უფრო მეტი პირადი შემადგენლობა, მაგალითად, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზებით“.⁸²

2012 წლიდან არსებულმა ნეგატიურმა გამოცდილებამ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით, ხელი შეუწყო საჯარო სივრცეში ძალადობის პროვოცირებას, რაც ასევე გამოიხატა სახელმწიფოს მარცხში, უზრუნველყო როგორც ლგბტ+ ჯგუფის ფუნდამენტური უფლება გამოხატვასა და შეკრებაზე, ასევე დაესაჯა ის ადამიანები, რომლებმაც აღნიშნული უფლება ხელყვეს.⁸³ შედეგად, 17 მაისი (IDAHOT), როგორც ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, წლიდან წლამდე ინსტიტუციური და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობების მანიფესტირების დღედ იქცა.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფების მხრიდან ძალადობისკენ არაერთი საჯარო მოწოდების მიუხედავად, სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ამ ქმედებებს შესაბამისი და ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია. მაგალითისთვის, 2019 წლის ივნისში, „თბილისის პრაიდის კვირეულის“ ფარგლებში „ღირსების მარშის“ ჩატარებასთან დაკავშირებით, ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფის

82 ECHR, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, პარა. 99.

83 ჯალაღანია ლ. „ლგბტი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2015.

მხრიდან შეკრების საწინააღმდეგოდ არაერთი საჯარო ძალადობრივი მოწოდება (ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდება)⁸⁴ გაკეთდა. მათ „სახალხო ლეგიონების“ შექმნა და ქუჩებში პატრულირება დაანონსეს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ ამ ფაქტზე, ფორმალურად გამოძიება დაიწყო⁸⁵, მას შედეგი დღემდე არ მოჰყოლია.⁸⁶

ასევე უნდა აღინიშნოს 2019 წლის 8 ნოემბერს, თბილისში, ფილმის, „და ჩვენ ვიცეკვით“⁸⁷ პრემიერისას განვითარებული მოვლენები. კინოთეატრთან შეკრებილი ძალადობრივი ჯგუფები ღიად დაუპირისპირდნენ როგორც ფილმის სახალხოდ მისულ მაყურებელს, ისე პოლიციის თანამშრომლებს. ადგილზე 27 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მოხდა, რომელთა მიმართაც დაიწყო გამოძიება, კერძოდ, პოლიციელებზე თავდასხმისა და პოლიციის მანქანის დაზიანებასთან დაკავშირებით. თუმცა ნეგატიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს უყურადღებობა ფილმის პრემიერამდე ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების განცხადებების მიმართ, რომლებიც საჯარო მუქარას მიმართავდნენ და მხარდამჭერებს კინოჩვენების ჩაშლისკენ მოუწოდებდნენ.⁸⁸

ამგვარი ქმედებები მიუთითებს ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფების მობილიზების პრაქტიკასა და მათ მიერ ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების კულტივირებაზე საზოგადოებაში, რომელსაც სახელმწიფო ვერ უპირისპირდება ეფექტიანი პრევენციული თუ სადამსჯელო მექანიზმებით.⁸⁹ ამან კი ხელი შეუწყო დაუსჯელობის კულტურის გაძლიერებას.

წლების განმავლობაში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ქვეყნის საჯარო პირების მხრიდან ლგბტ+ ადამიანებისა და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების ორ მოწინააღმდეგე მხარედ განხილვის ტენდენციაც. ამას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშიც, სადაც აღნიშნულია, რომ „ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი ჯგუფების შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე, განსხვავებული მოსაზრების მქონე პირებად განხილვა, და მათგან მომდინარე საფრთხეების იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, რომელშიც გარანტირებულია იმ პირთა უფლება, ვინც საკუთარ შეხედულებას მშვიდობიანი გზით გამოხატავს. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტს, რამდენადაც, ძალადობრივი ჯგუფების მიერ კონტრაქციების მხოლოდ სხვათა უფლების შეზღუდვის მიზნით გამართვა, უფლების ბოროტად გამოყენებაა, ხოლო მათ მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები დაცული არ არის შეკრების თავისუფლებით. ამდენად, ქვეყანაში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სრულფასოვნად რეალიზების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ხელისუფლებამ დროულად შეცვალოს მსგავსი მიდგომა და ძალადობრივი ჯგუფებისგან მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დასაცავად, თითოეულ შემთხვევაში, ქმედითი პრევენციული თუ პროაქტიული ზომები გაატაროს“.⁹⁰

84 იხ: <https://oc-media.org/tbilisi-pride-cancelled-after-location-leaks-online/>

85 იხ: <https://imednews.ge/ge/dzalovnebi/108905/shssm-lgbtqpraidis-tsinaagmdedeglegionissheqmnis-shesakheblevan-vasadzis-gantskhadebisshemdeg-gamodzieba-daitsko>

86 საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე: <http://www.ombudsman.ge/geo/qvela-zogadi-tsinadadeba/sakhalkhodamtsvelma-khelisuflebas-lgbt-temistsarmomadgenlebis-gamokhatvis-tavisuflebis-datsvisken-moutsoda>

87 ფილმი შეეხება ქვიარ თემატიკას.

88 See: <https://oc-media.org/georgian-ultraconservative-groups-vow-to-prevent-queer-romance-film-premier/>

89 გერლიანი თ. და პატარიძე მ. „5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, იხ: <https://socialjustice.org.ge/ka/products/5-ivlisis-movlenebis-samartlebrivi-shefaseba-pirveladi-analizi>

90 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები

1-5 ივლისის კვირის განმავლობაში ლგბტ+ ჯგუფმა და მათმა მხარდაჭერებმა, სამოქალაქო მოძრაობა „თბილისის პრაიდმა“, ასევე, მოძრაობამ „სირცხვილია“ და სხვა სამოქალაქო აქტივისტებმა ორგანიზება გაუწიეს პრაიდის ღონისძიებათა ციკლს. 5 ივლისი ამ ღონისძიებათა კულმინაცია უნდა გამხდარიყო, და დასრულებულიყო საღამოს 18:00 საათზე „ღირსების მარშით“ თბილისის ცენტრალურ უბანში.

საქართველოში არსებულმა რადიკალურმა, ულტრამემარჯვენე, კონსერვატიულმა და ძალადობრივმა ჯგუფებმა, ღონისძიების დაანონსებისთანავე დაიწყეს სოციალური ქსელების საშუალებით მობილიზება და თბილისი პრაიდის წინააღმდეგ სიძულვილის ენის საჯარო ტირაჟირება და ძალადობისკენ მოწოდება, მათ შორის, ტელევიზიის საშუალებით („ალტ-ინფო“)⁹¹.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია „თბილისი პრაიდს“ 5 ივლისის ღონისძიების შესახებ კომუნიკაცია ჰქონდა სამართალდამცავ უწყებებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეკრების ადგილას არ მიუყვანია შესაბამისი რაოდენობის პოლიციელები და არაფერი უღონია კონტრდემონსტრანტთა მიერ მშვიდობიანი შეკრების ჩაშლის თავიდან ასარიდებლად.

რადიკალურმა და ძალადობრივმა ჯგუფებმა უკვე 4 ივლისის საღამოს საათებშივე დაიწყეს რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიის დაკავება, რისი მიზანიც „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებისათვის სივრცის წართმევა და ღონისძიების ჩატარებისთვის ხელის შეშლა იყო. 5 ივლისის დილის საათებში ძალადობრივი ჯგუფების, მათ შორის, „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებმა და მათ მიერ ორგანიზებულმა ჯგუფებმა მთლიანად დაიკავეს პარლამენტის წინ არსებული ტერიტორია. განსაკუთრებულად შემაშფოთებელი იყო კონტრდემონსტრაციის მონაწილე ორგანიზატორებისა და სასულიერო პირების მხრიდან საჯაროდ გამოხატული სიძულვილის ენა და ძალადობისკენ საჯარო მოწოდება, როგორც „ღირსების მარშის“ მონაწილეების, ისე ჟურნალისტების მიმართ. მოწოდებების უშუალო მიზანი იყო მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დარბევა და ფიზიკური ძალადობისკენ ნაქეზება.⁹²

სამართალდამცავ ორგანოებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად⁹³, სიტუაციის კრიტიკულად დაძაბვამდე ევალუბოდან შესაბამისი ზომების მიღება შეკრების ან მანიფესტაციის დაუყოვნებელი შეწყვეტისთვის. თუმცა, მიუხედავად კონტრდემონსტრაციებზე გაჟღერებული სიძულვილის ენისა და ძალადობის საჯაროდ მოწოდებისა, სამართალდამცავ უწყებებს აქციის შესაწყვეტად შესაბამისი ზომები არ გამოუყენებიათ. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, რისკების შესაფასებლად და ადეკვატური ზომების მისაღებად ადგილზე სამართალდამცავ პირთა არასაკმარისი რაოდენობა იყო მობილიზებული.

(უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, გვ. 11, იხ:

<https://ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf> ასევე იხილეთ, გერლიანი თ. და პატარიძე მ. „5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, იხ: <https://socialjustice.org.ge/ka/products/5-ivlisis-movlenebis-samartlebrivi-shefaseba-pirveladi-analizi>

91 იხ: <https://formulanews.ge/News/56414>

92 გამოცემა პუბლიკა, „5 ივლისის ორგანიზება ნაწილი 1“, იხ: <https://www.facebook.com/publika.ge/videos/2693540917616640/>

93 შეკრების ორგანიზებისა და ჩატარების დროს იკრძალება ისეთი მოწოდებების გაკეთება, რომელიც „არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამგვარი ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“, მუხლი 11.

შესაბამისად, კონტრაქციის წინასწარი ორგანიზებისა და ძალადობისკენ მოწოდებების შედეგად, „ღირსების მარშის“ ღონისძიების ჩატარებამდე რუსთაველის გამზირის სხვადასხვა ლოკაციაზე ვითარება კრიტიკულად დაიძაბა, რაც კონტრდემონსტრაციის გასაშუქებლად ადგილზე მყოფი მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ მასობრივ ძალადობაში გადაიზარდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ინფორმაციით, რომლებიც მიმდინარე მოვლენებს ადგილზე აკვირდებოდნენ, „ძალადობრივი შეკრების დროს ადგილზე წარმოდგენილ პოლიციელთა რაოდენობა იყო კრიტიკულად მწირი. ხშირ შემთხვევაში, პოლიციამ ვერ დაიცვა ჟურნალისტები, რომლებიც სასტიკად სცემეს მოძალადე დემონსტრანტებმა“.⁹⁴

ძალადობრივი და ჰომოფობიური ჯგუფების მხრიდან ასევე ჰქონდა ადგილი ჯგუფურ თავდასხმას მოძრაობის, „სირცხვილია“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისებზე, რის შედეგადაც სხვადასხვა სახისა და ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს მოქალაქეებმა, დაზიანდა ოფისის ინვენტარი და სხვა მატერიალური ქონება.⁹⁵

შედეგად, „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებსა და მათ მხარდამჭერებს არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის უფლებით, მეტიც, მასობრივი და ჯგუფური ძალადობის შედეგად, სხვადასხვა სიმძიმის ფიზიკური დაზიანება მიიღო 55-მა ჟურნალისტმა და ოპერატორმა, დაზიანდა სხვადასხვა პირის კუთვნილი ნივთები და ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიულ საქმიანობაში.⁹⁶ ერთ-ერთი ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა კი, რომელიც 5 ივლისს მიღებული მძიმე დაზიანებების შემდეგ სახლში მკურნალობდა, 11 ივლისს საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.⁹⁷ საქართველოს ისტორიაში, ეს ჯგუფური ძალადობა ლგბტ+ ადამიანთა და ჟურნალისტთა წინააღმდეგ, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ფართომასშტაბიანი ორგანიზებული თავდასხმაა, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა მედიას, ლგბტ+ ადამიანებს, მათ მხარდამჭერებსა და ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

მაგრამ ძალადობის შედეგად დამდგარი მძიმე ზიანის მიუხედავად, საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს სათანადო ზომები არ მიუღიათ. კერძოდ, მართალია, საქართველოს გენერალური პროკურატურის თანახმად, 2021 წლის 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაზარალებულად იქნა ცნობილი 53 პირი და სისხლისსამართლებრივი დევნა კი 27 პირის მიმართ დაიწყო, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა - არც მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით. ასევე არ დაწყებულა დევნა ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდების ბრალდებით, რაც არსებითად საგანგაშო გზავნილად და ძალადობის არაპირდაპირ ლეგიტიმაციად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ჩაურევლობა ფართომასშტაბიან ძალადობრივ ქმედებებში, სრულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, „მშვიდობიანი შეკრების ქმედარტი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სახელმწიფოს

94 ადამიანის უფლებათა ცენტრი, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება საქართველოში, 2021, გვ. 40-41, იხ: <http://hrc.ge/files/reports/163RIGHT%20OF%20PEACEFUL%20ASSEMBLY...-geo-%20Main%20flaws%20in%20law%20and%20practice,%202021.pdf>

95 იხ: <https://formulanews.ge/News/53042>

96 საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება გენერალური პროკურორისადმი 2021 წლის 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტზე მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, 2021, იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2021090615354912875.pdf>

97 ჯერაც არ არის დადგენილი, იყო თუ არა ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება 5 ივლისს მიღებული მძიმე ფიზიკური დაზიანებების უშუალო შედეგი.

ვალდებულებამდე ჩაურევლობის თაობაზე: სრულიად ნეგატიური კონცეფცია კონვენციის მე-11 მუხლის განზრახვას და მიზანს არ ესადაგება. ეს დებულება ზოგჯერ პოზიტიური ზომების გატარებას მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ურთიერთობების სფეროშიც. ეს პოზიტიური ვალდებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ არაპოპულარული შეხედულებები ან მიეკუთვნებიან უმცირესობებს უფრო ძლიერი მონყვლადობის გამო“.⁹⁸

ძალადობის ლეგიტიმაციის ცხადი მაგალითია პოლიტიკოსების საჯარო გამომხატვებები მომხდარი მძიმე ძალადობის ფაქტების შესახებ⁹⁹, რომლებიც, უმრავლესობის აზრის დომინაციის თვალსაზრისით, უმცირესობათა აზრის დათრგუნვისა და ჩაგვრის ხარჯზე, საგანგაშო ტენდენციას ამკვიდრებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით არაერთხელ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფის ინტერესებზეა დამოკიდებული, დემოკრატია ყოველთვის უბრალოდ უმრავლესობის უპირატესობას არ გულისხმობს: აუცილებელია ბალანსი, რომელიც უმცირესობისადმი სამართლიან და სათანადო მოპყრობას უზრუნველყოფს და ირიდებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას.¹⁰⁰ სასამართლოს მიხედვით, „მშვიდობიანმა დემონსტრაციამ შესაძლებელია გააღიზიანოს ან გაანაწყენოს ადამიანები, რომლებიც იმ იდეების ან განცხადებების წინააღმდეგ არიან განწყობილნი, რომელთა ხელშეწყობასაც დემონსტრაცია ისახავს. ნებისმიერ შემთხვევაში, მონაწილეებს, სახელმწიფოს ხელშეწყობით, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ოპონენტებისგან ფიზიკური ანგარიშსწორების შიშის გარეშე გამართონ დემონსტრაცია; ასეთ შიშს შეუძლია შეაკავოს გაერთიანებები ან საერთო იდეების და ინტერესების მხარდამჭერი სხვა ჯგუფები საზოგადოებაზე გავლენის მქონე ძალიან საკამათო საკითხებზე თავიანთი აზრის ღიად გამოხატვისაგან. დემოკრატიაში კონტრდემონსტრაცია არ შეიძლება გადაიზარდოს დემონსტრაციის უფლების განხორციელების შეფერხებაში“.¹⁰¹

ძალადობრივ ქმედებები განვითარდა 6 ივლისსაც, როდესაც მოქალაქეები ლგბტ+ ადამიანთა უფლებებისა და ჟურნალისტთა მხარდასაჭერად შეიკრიბნენ საქართველოს პარლამენტის შენობასთან. ეს მშვიდობიანი შეკრება კვლავ ძალადობრივი კონტრდემონსტრაციის სამიზნე გახდა, ადგილზე მყოფი სამართალდამცავი ორგანოების რაოდენობა კი კვლავ კრიტიკულად მცირე იყო.¹⁰² მას შემდეგ, რაც მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებმა ლგბტ+ სიმბოლიკით დატვირთული დროშა გაშალეს, ვითარება არსებითად დაიძაბა - კონტრდემონსტრაციაზე მყოფი ადამიანები სხვადასხვა ნივთებს ისროდნენ, რის შედეგადაც, მშვიდობიან შეკრებაზე მყოფმა რამდენიმე ადამიანმა მსუბუქი დაზიანებაც მიიღო. რადგან ადგილზე მობილიზებული პოლიცია ვერ უმკლავდებოდა კონტრდემონსტრანტთა მასას, მათ საგანგებოდ შექმნილი კორდონით მოახერხეს მშვიდობიანი დემონსტრანტების გაყვანა შეკრების ადგილიდან. თუმცა, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ის ფაქტი, რომ დემონსტრანტების დასაცავად მანიფესტაციის უფლება მშვიდობიანი შეკრებით მოსარგებლე პირებს ეზღუდებათ, სრულ წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.¹⁰³

98 ECHR, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, იქვე, პარა. 94.

99 პრემიერ-მინისტრის განცხადება: <https://palitrnews.ge/video/dghes-daanonsebuli-marshis-chatareba-mimachniamizansheutsonlad-is-sheitsavs-samokalako-dapirispirebis-saftrtkhes-premieri>

100 ECHR, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, პარა. 93.

101 იქვე, პარა. 95.

102 იხ: <https://civil.ge/ka/archives/431033>

103 OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010.

5-6 ივლისს ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან მიღებული არაპროპორციული ზომების საპასუხოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა ორი წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რომელშიც 5 და 6 ივლისს ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების ფაქტობრივი გარემოებების აღწერასთან ერთად, მას შესაბამისი სამართლებრივი ზომების მიღებისკენაც მოუწოდა, კერძოდ, ერთი მხრივ, 5 ივლისს სულ მცირე ორი ადამიანის მიმართ ძალადობის საჯაროდ მოწოდების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აუცილებლობის¹⁰⁴, და მეორე მხრივ, 5 ივლისს ჩადენილი ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.¹⁰⁵

7.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე

COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ გამოწვევის წინაშე დააყენა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელება. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების უფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის განცხადების მიხედვით, მიუხედავად არსებული სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული კრიზისისა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა დაიცვან დემოკრატიული მონაწილეობის საბაზო პრინციპები.¹⁰⁶ ამაში იგულისხმება სახელმწიფოების მიერ არაგონივრული შეზღუდვებისაგან თავის არიდება, კერძოდ, მშვიდობიანი და უსაფრთხო შეკრებების დაშვების უზრუნველყოფა, არა მხოლოდ ღია ფიზიკურ სივრცეებში, არამედ ონლაინ. მართალია, საქართველოს შემთხვევაში ლგბტ+ ჯგუფთა შეკრებების შეზღუდვის საფუძველი COVID-19-ით გამოწვეული პანდემია არ ყოფილა, მაგრამ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ზემოაღნიშნული განცხადების თანახმად, სხვადასხვა ქვეყანაში მთავრობებმა არაგონივრულად გამოიყენეს პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისი ოპოზიციური და უმცირესობათა ხმების ჩასახშობად.¹⁰⁷ შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა არ დაუშვას გაუმართლებელი ჩარევა შეკრებისა და გამოხატვის უფლების ეფექტიან გამოყენებაში ყველა ჯგუფთან მიმართებით დისკრიმინაციის გარეშე.

104 საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ, 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, 03.09.2021, იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2021090615354933553.pdf>

105 საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ, 2021 წლის 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტზე მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, 03.09.2021, იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2021090615354912875.pdf>

106 "States responses to Covid 19 threat should not halt freedoms of assembly and association" – UN expert on the rights to freedoms of peaceful assembly and of association, Mr. Clément Voule, იხ: <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=25788&LangID=E>

107 იქვე.

8. წვდომა განათლებაზე

8.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

საერთაშორისო ინსტრუმენტები სახელმწიფოებს მოუწოდებენ, მიიღონ შესაბამისი ზომები სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში ძალადობის თავიდან ასარიდებლად და აღმოსაფხვრელად. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბულინგსა და სასწავლო სივრცეების წარმომადგენლების მხრიდან დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე. UNESCO-ს კონვენციის მიხედვით, განათლების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ¹⁰⁸, რომელიც საქართველოში 1993 წელს შევიდა ძალაში, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანთა სრულ პიროვნულ განვითარებაზე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის გაძლიერებაზე, მან ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებს შორის გაგების, ტოლერანტობისა და მეგობრობის და მშვიდობის შენარჩუნებას საზოგადოებაში.¹⁰⁹

საქართველოს კანონმდებლობა ფორმალურად უზრუნველყოფს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაცვას განათლების შესახებ არსებულ ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგალითად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, „მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისგან“.¹¹⁰ კანონმდებლობა ასევე შეიცავს დისკრიმინაციისგან დაცვის ზოგად დებულებებს¹¹¹, თუმცა, არცერთი კანონი არ ადგენს დისკრიმინაციისგან დაცვის პროაქტიულ მექანიზმებს, არც შევიწროებისა და სექსუალური შევიწროებისგან დაცვის ვალდებულებებს მოიცავს.

რაც შეეხება ბულინგის საწინააღმდეგო მექანიზმებს, იგი საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ქვეშ მოქცეული ძალადობის აკრძალვის ზოგადი დებულებებისა და სკოლებისა და უნივერსიტეტების/სასწავლებლების შინაგან-ნაწესების ქვეშ მოიაზრება. თავად ბულინგის დეფინიცია, საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განმარტებული და არც რომელიმე კანონქვემდებარე აქტი ახდენს მის დეფინიციას, თუმცა როგორც სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საპასუხო წერილშია აღნიშნული¹¹², „მანდატურის სამსახური ხელმძღვანელობს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ფორმირებულ განმარტებას: ბულინგი არის აგრესიული გამიზნული ქცევა, რომელიც ძალაუფლების უთანასწორობას მოიცავს“.¹¹³ განმარტების დასაკონკრეტებლად, განსაკუთრებით მოსწავლეთათვის, გამოიყენება „ასევე როლანდის (1988) განმარტება: ბულინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში“.¹¹⁴ თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მანდატურის

108 UNSECO, Convention against Discrimination in Education 1960, nb: http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=12949&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html

109 UNSECO, Convention against Discrimination in Education 1960, მუხლი 5.

110 მუხლი 9, პუნქტი 8.

111 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 8, მუხლი 13, მუხლი 14; საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 3.2 (თ); მუხლი 3.3 (კ).

112 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საპასუხო წერილი, MES 7 21 0000989535, 28.09.2021.

113 იქვე.

114 იქვე.

სამსახური არ აწარმოებს სოგი-ს საფუძველზე ბულინგისა თუ სხვაგვარი ძალადობის სტატისტიკას.¹¹⁵ წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიებზე გამოჩნდა, რომ ლგბტ+ ჯგუფისათვის სკოლა უსაფრთხო ადგილად არ მიიჩნევა. პირიქით, ის ხშირად ტრავმული გამოცდილების საფუძველი ხდება ხოლმე. მაგალითისთვის, ფოკუს ჯგუფის დისკუსიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ერთ-ერთმა ტრანსმა* მოსწავლემ, რომელსაც სკოლაში არასახარბიელო მოპყრობის გამოცდილება ჰქონდა, თავი დაანება სკოლაში სწავლას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკების დახმარებით, მედიაციის პროცესში აქტიურად ჩაერთო „თანასწორობის მოძრაობა“, რამაც შესაძლებელი გახადა სკოლის მხრიდან ღიაობა, სამწუხაროდ, მოსწავლემ მიღებული ემოციური სტრესის ფონზე სწავლა მაინც აღარ გააგრძელა.¹¹⁶ როგორც ლგბტ+ სათემო ორგანიზაციათა წარმომადგენლები აღნიშნავენ, ეს არ არის ერთეული შემთხვევა, ზოგადად სტრესი, ემოციური ფონი გავლენას ახდენს სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. ხშირად, სასკოლო სივრცეში არსებული დისკრიმინაციული ან არამიმდებლური გარემო გავლენას ახდენს არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობასა და დასწრებაზე, არამედ სწავლის ხარისხზეც.¹¹⁷

სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის საფუძველზე ბულინგისა და პედაგოგთა მხრიდან მოსწავლეთა მიმართ დისკრიმინაციული ქცევის წახალისების პრაქტიკის შესახებ სიღრმისეული კვლევები საქართველოში არ არის ჩატარებული, თუმცა სხვადასხვა დროს გაკეთებული მცირე მოკვლევები, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში¹¹⁸, აჩვენებს, რომ ამგვარი პრაქტიკისგან საქართველოს საჯარო სკოლები თავისუფალი არ არის, მეტიც, ხშირად, სტერეოტიპების გაძლიერებისა და დისკრიმინაციული ქცევის წახალისება სწორედ პედაგოგთა მხრიდან შეიმჩნევა.¹¹⁹ რაც, ბუნებრივია, მიუთითებს საქართველოს განათლების მხრიდან პედაგოგთა ცნობიერების ამაღლებისა და მათთან მუდმივი მუშაობის საჭიროებაზე. როგორც მანდატურის სამსახურისგან მოპოვებულ ინფორმაციაში იკვეთება, სამსახური, 2019 წლიდან, ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, საპილოტო პროექტებს 11 საჯარო სკოლაში ახორციელებს.¹²⁰

გარდა ძალადობისა და დისკრიმინაციული ქცევის აღსაკვეთად საჭირო მექანიზმებისა, განათლებაზე წვდომის უფლება საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ასევე მოიცავს მოსწავლის უფლებას მიიღოს ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლება, ბავშვის ასაკისა და

115 იქვე.

116 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან, „თანასწორობის მოძრაობა“, 30.09.2021.

117 ჯალაღანია ლ. „ლგბტ+ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020.

118 Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity, Visit to Georgia, 2019, პარა. 81-85.

119 თანასწორობის მოძრაობა, ქვიარ ბულინგი სკოლებში, 2020, იხ: <http://www.equality.ge/tag/%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98>

120 საპილოტო პროექტის დასაწყისში ინტესიური ტრენინგ-კურსით „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“ (2019 წელს საპილოტო სკოლაში ინტეგრირებამდე), 2018 წელს გადამზადდა - 830 პედაგოგი, ხოლო 2019 წელს - 84 პედაგოგი. 2019 წლიდან დღემდე კი, პროექტის ფარგლებში გადამზადდა და ბულინგთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის საინტერვენციო, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში ჩაერთო: 2168 - მასწავლებელი; 9984 - მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; 32281 - მოსწავლე. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საპასუხო წერილი, MES 7 21 0000989535, 28.09.2021.

განვითარების შესაბამისად.¹²¹ თუმცა, მიუხედავად ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯებისა¹²², ადამიანის სექსუალობის შესახებ მოზარდების ცოდნა კვლავ მწირია, მოსწავლეები და მოზარდები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას თავიანთ სხეულზე, ურთიერთობებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და სექსუალობაზე.¹²³ როგორც საერთაშორისო მექანიზმები უთითებენ, ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ უფლება მიიღონ სიღრმისეული, მეცნიერულად დადასტურებული და კულტურულად სენსიტიური განათლება სექსუალობის შესახებ.¹²⁴ სექსუალობის შესახებ განათლება ახლო კავშირშია, მათ შორის, ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან თავისუფლების, ჯანმრთელობის უმაღლეს ხელმისაწვდომ სტანდარტზე წვდომის, ინფორმაციის მიღების, ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღების უფლებებთან. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა 2010 წლის ანგარიშში ექსპლიციტურად აღნიშნა, რომ განათლება სექსუალობის შესახებ ცალკე მდგომი უფლებაა და დაკავშირებული უნდა იყოს სხვა უფლებებთან მათი უნივერსალობისა და განუყოფლობის პრინციპის გათვალისწინებით.¹²⁵

რაც შეეხება სახელმძღვანელოების რევიზიის საჭიროებას, სახალხო დამცველის შეფასებით,¹²⁶ სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ, სახელმძღვანელოების გრიფირების კომისიაში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სპეციალისტების ინტეგრირებამ, შესაძლებელი გახადა სასწავლო მასალებიდან დისკრიმინაციული, სტერეოტიპული შეხედულებების შემცველი შინაარსის თავიდან აცილება. თუმცა, სახალხო დამცველის შეფასებით, პროცესი ბოლომდე მაინც ვერ პასუხობს შესაბამის სტანდარტებს, გამონკვევები გამოვლინდა გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული შინაარსის ინტეგრირების თვალსაზრისით.¹²⁷ გარდა ამისა, გამოიკვეთა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა.

სასკოლო სივრცეებისგან განსხვავებით, სტუდენტთა ასაკის გათვალისწინებით, დაცულობის მეტი ხარისხის შესაძლებლობაა საუნივერსიტეტო სივრცეებში, თუმცა არსებითად მწირია დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების შესაძლო ფაქტების შესახებ ინფორმაცია, რაც ართულებს

121 გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 24-ე ზოგადი რეკომენდაცია, 1999, პუნქტი 18. გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტი, მე-15 ზოგადი განმარტება, 2013. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 24-ე ზოგადი რეკომენდაცია, 1999, პუნქტი 18.

122 რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უფრო მეტად აქცენტირებული გახდა. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, გადაიხედა და დამტკიცდა დანყებითი (I – VI კლასების), საბაზო (VII – IX კლასების) და საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) სტანდარტები. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, რეპროდუქციული უფლებების და გენდერული თანასწორობის შესახებ ასაკის შესაბამისი ინფორმაცია გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

123 საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, 2019, იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2019072913513745197.pdf>

124 გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, ლანზაროტის კონვენცია, სტამბოლის კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.

125 CoE, Comprehensive sexuality education protects children and helps build a safer, inclusive society, 2020, იხ: <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/comprehensive-sexuality-education-protects-children-and-helps-build-a-safer-inclusive-society>

126 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020.

127 იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2020122517134623546.pdf>

გარკვეული დასკვნების გაკეთებას დისკრიმინაციის ზემოაღნიშნულ ფორმათა მასშტაბის შესახებ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2021 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, ლგბტ+ რესპონდენტებიდან, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (143 რესპონდენტი) 6-მა მიუთითა, რომ მას აიძულეს სასწავლებლის დატოვება, 11 რესპონდენტს აქვს გამოცდილება, როდესაც ის არ დაუშვეს ლექციაზე ან გაკვეთილზე, 19 კი ამბობს, რომ მეტ მოთხოვნებს უყენებდნენ სხვა სტუდენტებთან/მოსწავლეებთან შედარებით.¹²⁸

სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით შიდა რეგულირებები და მექანიზმები საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ ნაწილს აქვს ამუშავებული ეთიკის კოდექსებითა და შინაგანაწესებით¹²⁹, თუმცა არსებობს დისკრიმინაციის ისეთი შემთხვევებიც, რომელთა გამოვლენა არსებითად რთულია მათი შეფარული ხასიათის გამო, მაგალითად, სტუდენტთა ნაშრომების (გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული) უსამართლო შეფასება და ნაშრომის შეფასებისას მტრული გარემოს შექმნის ტენდენცია.¹³⁰ ეს ნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო სივრცეები ასევე არ არის თავისუფალი სტერეოტიპული და დისკრიმინაციული პრაქტიკისგან, და ყველა სტუდენტისთვის თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება.

8.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა განათლების უფლებაზე

პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა კრიტიკული გავლენა მოახდინა განათლების უფლების ეფექტიანად განხორციელებაზე. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განათლების უფლების შესახებ, აღნიშნა, რომ მიუხედავად სახელმწიფოების მიერ მიღებული სხვადასხვა ინიციატივი მეთოდისა, უზრუნველყოთ პანდემიის პირობებში განათლების უწყვეტობა, ის ვერ ჩაანაცვლებს ან დააკომპენსირებს იმ შედეგს, რაც გლობალურად მსგავსი მასშტაბის კრიზისის მიმართ მოუმზადებლობამ გამოიწვია. „ძლიერი და მდგრადი საგანმანათლებლო სისტემის შექმნის პროცესში წარსულში არსებულმა ჩავარდნებმა კარი გაუღო დრამატულად ნეგატიურ გავლენას ყველაზე მარგინალიზებულ და მოწყვლად ჯგუფებზე“.¹³¹ მომხსენებლის მიხედვით, სტრუქტურულმა

128 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

129 მაგ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, თავისუფალ უნივერსიტეტს, ჭიპა - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და სხვ.

130 მაგალითისთვის, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის ყოფილ სტუდენტ ა.თ-ს შორის სამი წელია მიმდინარეობს სასამართლო დავა, სადაც მოსარჩელეს სამი ძირითადი მოთხოვნა აქვს - მიეცეს სადიპლომო ნაშრომის დაცვის ხელახალი შესაძლებლობა ჯანსაღ გარემოში, უნივერსიტეტმა შექმნას ქულის გასაჩივრებისა და, რაც მთავარია, სექსუალური შევიწროებისა და სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის ფაქტის შემსწავლელი მექანიზმი, რომელიც დღესდღეობით მას არ გააჩნია. სექსუალური ძალადობის პრობლემაზე ნაშრომის წარდგენის საფუძველზე შესაძლო დისკრიმინაციისა და უსამართლო შეფასების მსხვერპლი გახდა თსუ-ს კიდეც ერთი სტუდენტი გ.ბ., რომელსაც ასევე არ მიეცა საშუალება მის მიმართ შესაძლო დისკრიმინაციული ქმედება შესაბამისი საუნივერსიტეტო მექანიზმის საშუალებით გაესაჩივრებინა მისი არარსებობის გამო. იხ: „სამაგისტრო ნაშრომის წერა გენდერულ საკითხებზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, შესაძლოა, დაბალ ქულად დაუჯდეთ“, 12.08.2021, იხ: <https://edu.aris.ge/news/samagistro-nashromis-wera-genderul-sakitxebze-iuridiuli-fakultetis-studentebshesadzloa-dabal-qulad-daudjdet.html>

131 A/HRC/44/39, Report of the Special Rapporteur on the right to education, Right to education: impact of the COVID-19 crisis on the right to education; concerns, challenges and opportunities, 2020, პარა. 20.

უთანასწორობამ ყველაზე ნათლად იჩინა თავი მარგინალიზებულ ჯგუფებზე, არსებული ჩავარდნა კი სახელმწიფოების მხრიდან შესაბამისი მყისიერი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში კიდევ უფრო გაღრმავდება.¹³² განათლების სფეროში არსებულ უთანასწორობას გაძლიერების ეფექტი (rolling effect) აქვს, რომელსაც შედეგად მეტი და განგრძობადი უთანასწორობა მოაქვს. კრიზისმა ასევე აჩვენა, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია განათლების უფლება სხვა უფლებებთან, მათ შორის, ადეკვატურ საცხოვრისზე წვდომის უფლებასთან, ცხოვრების ადეკვატური ხარისხის უფლებასთან, დასაქმების უფლებასთან და ბავშვის უფლებასთან, იყოს თავისუფალი ძალადობის ყველა ფორმისგან.¹³³

განათლების კრიზისი ასევე შეიქმნა უმაღლესი განათლების მიღების თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც და რომელთა მშობლებმაც სამუშაო დაკარგეს და ამის გამო სწავლის საფასურის გადახდა ვეღარ შეძლეს. როგორც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ლგბტ+ სათემო ორგანიზაციათა წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, განათლებასა და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა განსაკუთრებით გართულდა რეგიონიდან დედაქალაქში სასწავლებლად წასული სტუდენტებისთვის.¹³⁴ როგორც რეგიონული სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ყველა ის სტუდენტი, რომელიც მათი სერვისებით სარგებლობდა რეგიონებში, იძულებული გახდა, ან აკადემიური აელო ან სწავლა მიეტოვებინა. ნაწილი თავის მშობლიურ ქალაქში/რაიონში დაბრუნდა, ნაწილი კი მომსახურების სფეროში დასაქმდა. სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ეს მათ არსებითად დახვეს უკან განათლების მიღების და მომავალში სწავლის გაგრძელების კუთხით.¹³⁵

სტუდენტების იმ ნაწილს, რომლებიც დედაქალაქიდან რეგიონებში თავიანთ ოჯახებში დაბრუნდნენ, რადგანაც ქირის გადახდა აღარ შეეძლოთ, ინტერნეტზე არასრულყოფილი წვდომის გამო, ასევე გაუჭირდათ ონლაინ განათლების მიღების გაგრძელება.¹³⁶ გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასწავლო რესურსებსა და ინტერნეტზე წვდომის არარსებობა დისკრიმინაციის ახლად წარმოქმნილი პრობლემაა, თუმცა ასევე აღიარებს, რომ ეს პრობლემა მანამდე არსებული სტრუქტურული უთანასწორობის შედეგია, სოციალური და ეკონომიკური სტატუსის, სქესისა და გენდერის, ენის, რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობისა და სხვა სტატუსის ნიშნით.¹³⁷

სათემო ორგანიზაციები ასევე აღნიშნავდნენ, რომ პანდემიის დროს მათ არაერთხელ მიმართეს, მათ შორის ტრანს* ადამიანებმა, სწავლის დაფინანსების თხოვნით, თუმცა ორგანიზაციების მწირი რესურსების გათვალისწინებით, მხოლოდ მცირე ნაწილისთვის მოხერხდა გარკვეული მხარდაჭერის აღმოჩენა.¹³⁸

132 იქვე, პარა. 21-30.

133 იქვე, პარა. 31.

134 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან, 30.09.2021.

135 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან, იდენტობა იუს-ის წარმომადგენელი, 30.09.2021.

136 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან, იდენტობა იუს-ის წარმომადგენელი, 30.09.2021.

137 A/HRC/44/39, Report of the Special Rapporteur on the right to education, Right to education: impact of the COVID-19 crisis on the right to education; concerns, challenges and opportunities, 2020, პარა. 23.

138 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან, 30.09.2021.

9. შრომითი უფლებები და წვდომა დასაქმებაზე

9.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის ის ძირითადი დირექტივები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც სახელმწიფომ ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებისა და მათ წევრ სახელმწიფოთა შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით¹³⁹ აიღო. შეთანხმება სრულად ძალაში 2016 წლის ივლისიდან შევიდა. ასოცირების შეთანხმება დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების საკითხებს დეტალურად ასახავს XXX დანართში, რომელიც ცალკე გამოყოფს იმ დირექტივების სიას, რომლებიც უშუალოდ ეხება სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აკრძალვასა და გენდერულ თანასწორობას (6 დირექტივა). ამ დირექტივათა შორის, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას უშუალოდ მოიცავს 2000 წლის 27 ნოემბრის საბჭოს 2000/78/EC დირექტივა¹⁴⁰, რომელიც დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით თანაბარი მოპყრობის ზოგად სტრუქტურას აყალიბებს, და განსაზღვრავს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებას არა მხოლოდ სამუშაო ადგილზე, არამედ დასაქმებაზე წვდომის პროცესშიც, კერძოდ, დირექტივის მე-3 მუხლის მიხედვით, თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულებები შეეხება სამუშაოზე წვდომის პირობებს, მათ შორის, შერჩევის კრიტერიუმებს და პროფესიული იერარქიის ყველა იერარქიულ საფეხურს, დანიშნულების ჩათვლით.¹⁴¹

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის თაობაზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის საქართველოს შესახებ ანგარიშის მიხედვით, სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული პრაქტიკა ლგბტ+ ადამიანებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა¹⁴² განსაკუთრებული მონყვლადობით გამოირჩევიან ტრანს ადამიანები - გენდერის სამართლებრივი აუღიარებლობის პრობლემა მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოშობს ტრანს ადამიანებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების მქონე დასაქმებაზე წვდომაზე, რის გამოც არაოფიციალურ და ცუდ სამუშაო პირობებს თანხმდებიან. მათი ნაწილი (უმეტესად ტრანს ქალები), შესაძლოა, ჩაერთონ კომერციულ სექს სამუშაოში, რაც მათ კიდევ უფრო მონყვლადს და დაუცველს ხდის ძალადობის მიმართ.¹⁴³ ამას ადასტურებს ბოლო წლებში ჩატარებული კვლევებიც, რომელთა მიხედვითაც, ტრანს სექს მუშაკთა 61.4% სექს სამუშაოში ჩართულობის მთავარ მიზეზად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებდა. სექს სამუშაოში ჩართულობასთან დაკავშირებული სირთულეების შეფასებისას, რესპონდენტები ფინანსურ არასტაბილურობასთან დაკავშირებულ სტრესსა (79.5%) და სიცოცხლის ანდა ჯანმრთელობისათვის არსებულ საფრთხეს უთითებდა (77.3%).¹⁴⁴

139 ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, XXX დანართი, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

140 იხ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32000L0078>

141 Directive 2000/78/EC, მუხლი 3, პუნქტი a)

142 Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity*, 2018, პარ. 72.

143 ბახტაძე ქ. დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ, 2015, WISG, გვ. 39.

144 ჯალაღანია ლ. ლგბტ ქგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 151.

2018 წელს ჩატარებული კვლევა¹⁴⁵ აჩვენებს, რომ ლესბოსელ და ბისექსუალ ქალთა 28.2% მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული გამოხატვის გამო დაექვემდებარა დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, უმეტეს შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას სამუშაოზე მიღებისას - 21.4%, შესაძლებლობების უთანასწორობას და დაწინაურების პროცესში დისკრიმინაციას 11.2% და 6.5% დაექვემდებარა.¹⁴⁶ კვლევის თანახმად, შრომით ბაზარზე დისკრიმინაციის პრობლემა წარმოეშვათ იმ ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებს, რომლებიც გენდერულად არაკონფორმულად/ არაბინარულად გამოიყურებიან. მთლიანობაში, დისკრიმინაციული გამოცდილება კერძო სექტორში (32.6%) არსებითად აღემატება საჯარო სექტორში არსებულ უთანასწორო მოპყრობის პრაქტიკას.¹⁴⁷

2020 წელს ჩატარებული კვლევის¹⁴⁸ მიხედვით, მოსაზრებას - „ღებტ+ ადამიანებს, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მიუწვდებიათ ხელი დასაქმებაზე“, ღებტ+ რესპონდენტთა 93.1% ეთანხმება. რაც ასევე მიუთითებს, არა მხოლოდ ობიექტურად არსებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე, სამუშაო ადგილებზე, არამედ დისკრიმინაციის მოლოდინზეც, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნას ღებტ+ ჯგუფს სამუშაოს ძიების პროცესში და კვლავ ისეთ სამუშაოს დათანხმდნენ, სადაც, შესაძლოა, უფრო მიმღებლური გარემო იყოს, მაგრამ არ ჰქონდეთ სოციალური ბენეფიტები და ადეკვატური ანაზღაურება (პრეკარიული შრომა). ამასვე ადასტურებს კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა გადანაწილება დასაქმების სექტორის მიხედვით, სადაც ჩანს, რომ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ხელოვნების, გართობის, დასვენებისა (32.7%) და განთავსების და კვების მომსახურების განევის (19.20%) სექტორშია დასაქმებული.¹⁴⁹

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ღირსეული სამუშაო ადგილი საკუთარ თავში უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ადეკვატურ ანაზღაურებასა და შრომის ადმინისტრირების თვალსაზრისით მის სამართლიან ორგანიზებას, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო სამუშაო გარემოსაც. სწორედ აქედან გამომდინარე, ღებტ+ ადამიანებისათვის ჰომოფობიისგან თავისუფალი და ჯანსაღი სამუშაო გარემო, სადაც მათ არ მოუწევთ საკუთარი გამოხატვის კონტროლი და დამატებითი ძალისხმევის გაღება იდენტობის პირდაპირი თუ ირიბი გამჟღავნებისგან თავის დასაცავად, არსებითად მნიშვნელოვანია.¹⁵⁰

საქართველოს რეალობაში, ღებტ+ ჯგუფის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, ქვეყანაში არსებული სოციალური კრიზისიდან და სიღარიბის მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ხშირად უწევთ არჩევანი გააკეთონ განათლებასა და დასაქმებას შორის.¹⁵¹ ასეთი არჩევანის წინაშე განსაკუთრებულად ხშირად დგანან ის ახალგაზრდა თემის წევრები, რომლებსაც არ აქვთ ოჯახის მხრიდან მხარდაჭერა და ვერ სარგებლობენ მათი ფინანსური დახმარებით. როგორც წესი, ახალგაზრდები განათლების მიღების ნაცვლად პრეკარიულ შრომაში ერთვებიან, რაც საბოლოოდ „ქვიარ პრეკარიულობის“¹⁵² ციკლის დასაბამი ხდება, რომლიდანაც თავის დაღწევას იშვიათად ახერხებენ.

145 Aghdgomelashvili E., From Prejudice to Equality: LGBT persons in Georgia (part II): LGBTI persons in Georgia, WISG, 2018.

146 იქვე.

147 Aghdgomelashvili E., From Prejudice to Equality: LGBT persons in Georgia (part II): LGBTI persons in Georgia, WISG, 2018.

148 ჯალალანია ლ. ღებტ+ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 143.

149 იქვე, გვ. 137.

150 იქვე, გვ. 143.

151 ფოკუს ჯგუფი ღებტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 30.09.2021.

152 Weiss M. and Hollibaugh A. "Queer Precarity and the Myth of Gay Affluence", 2015, იხ: <https://newlaborforum.cuny.edu/2015/10/15/the-myth-of-gay-affluence/>

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) ახალგაზრდების დასაქმებას ღირსეულ შრომით პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევს. შსო-ს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტში, რომელიც სკოლიდან სამუშაო ადგილზე ტრანზიციასთან დაკავშირებით შემუშავებულ ინდიკატორებს შეეხება, აღნიშნულია, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც არასტაბილურ სამუშაოში არიან ჩართულები, რომელიც არ უზრუნველყოფს ღირსეული შრომის პირობებს, არ შეიძლება მივიჩნიოთ იმ ჯგუფად, რომელმაც განიცადა სრულყოფილი ტრანზიცია „შრომაში“ (school to work transition).¹⁵³

შსო-ს 2005 წლის რეზოლუცია ახალგაზრდების დასაქმების შესახებ, აღნიშნავს, რომ მსოფლიოში მრავალი ახალგაზრდაა, რომელსაც არ მიუწვდება ხელი ღირსეულ შრომაზე - „ახალგაზრდების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაუსაქმებელი, სამუშაოს მაძიებელია ან მუშაობს მიუღებლად ბევრ საათს არაფორმალურ და დაუცველ სამუშაო ადგილებზე, პერსონალური და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გარეშე; ისინი მათ შესაძლებლობებთან შეუსაბამოდ დაბალკვალიფიციურ ადგილებზე არიან დასაქმებულები კარიერული წინსვლის შესაძლებლობების გარეშე; მათი სურვილის საწინააღმდეგოდ არიან მომწყვდეულები ნახევარგანაკვეთიან, დროებით და სეზონურ სამუშაოებზე, ხშირად არსებითად ცუდ და არაფორმალური ეკონომიკის პრეკარიულ შრომით პირობებში როგორც ქალაქად, ისე სოფლად“.¹⁵⁴ შედეგად, „მათ არ აქვთ ადეკვატური შემოსავალი, ხელი არ მიუწვდებათ განათლებასა და უწყვეტ სწავლებაზე, სოციალურ დაცვასა და უსაფრთხოებაზე“.¹⁵⁵

შსო-ს მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილები სახელმწიფოს მიერ პირდაპირ ვერ შეიქმნება ამ ჩავარდნებზე საპასუხოდ, მთავრობებმა შესაბამისი კანონმდებლობების გზით უნდა უზრუნველყონ შრომითი უსაფრთხოება და პროდუქტიულობის ზრდა, რაც ღირსეული შრომის მთავარი ფუნდამენტია. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ახალგაზრდების ფორმალურში „გადმოსაყვანად“ და შექმნას ახალგაზრდების დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და ცოდნის გაზრდის ხელშეწყობისათვის შესაბამისი პირობები.¹⁵⁶

ღირსეული შრომითი პირობების შექმნისა და სამუშაო ადგილას უთანასწორო მოპყრობის აკრძალვის კუთხით, საქართველოს კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2020 წლის 29 სექტემბერს, შრომის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად, საქართველოს შრომის კოდექსი არსებითად დაუახლოვდა ევროკავშირის დირექტივებსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, შრომის კოდექსის ცვლილებების შედეგად გაფართოვდა დისკრიმინაციის ფარგლები და მოიცვა პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამალღების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაც.¹⁵⁷ ასევე აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსმა გაითვალისწინა დამსაქმებლის პირდაპირი ვალდებულება, მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დასაცავად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანანწესსა

153 ILOSTAT, From school to work: An analysis of youth labour market transitions, 2019, nb: https://ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---stat/documents/publication/wcms_732422.pdf

154 ILO, Resolutions adopted by the International Labour Conference at its 93rd Session (Geneva, June 2005), Resolution concerning youth employment, პარ. 5, nb: https://learning.itcilo.org/ilo/youthemployment/PDF/resolutions_en.pdf

155 იქვე.

156 იქვე, პარა. 9.

157 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 5.

და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.¹⁵⁸

შრომის კოდექსის ცვლილებებმა, კანონის აღსრულების მექანიზმად, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის ნაწილში დამსაქმებელთა ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრა შრომის ინსპექცია, რომლის საქმიანობას შრომის კოდექსის გარდა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიც არეგულირებს. ინსპექციას, შრომის კოდექსის მიხედვით, ასევე მიენიჭა ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების უფლებამოსილებაც.¹⁵⁹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინსპექციის მანდატი თანასწორობის ნაწილში გარკვეულწილად ახდენს საქართველოს სახალხო დამცველის ფუნქციების დუბლირებას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი უნდა შემოფარგულიყო დასაქმების ადგილზე თანასწორობის მხრივ ზოგადი პოლიტიკის შეფასებით, სავარაუდოდ დისკრიმინაციის ინდივიდუალური შემთხვევის აღმოჩენის შემთხვევებისთვის კი ფაქტის სახალხო დამცველთან რეფერირების მექანიზმი დანერგილიყო.¹⁶⁰ ეს, შესაძლოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი ქალებისა და ლგბტ+ ადამიანებისთვის, რადგან ამ ტიპის საქმეების განხილვა და მსხვერპლებთან კომუნიკაცია არსებით მგრძობებლობასა და სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს შრომის კოდექსმა არ გაითვალისწინა მინიმალური ანაზღაურების ხელახალი დადგენის ვალდებულება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ის ცვლილებათა პირველად პაკეტში მოაზრებული იყო. შრომის კანონმდებლობებში ანაზღაურების საკითხის რეგულირება უთანასწორობასთან ბრძოლის მხოლოდ ერთი კომპონენტია. თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ეფექტიანად აღსასრულებლად, ღირსეული შრომის უზრუნველყოფისა და ქალთა შრომითი დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესში, მინიმალური ხელფასის რეგულირებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. მინიმალური ხელფასის მნიშვნელობა ასახულია შსო-ს №100 კონვენციაში, როგორც თანაბარი ანაზღაურების პრინციპის აღსრულების ბაზისური საშუალება. რადგანაც, შსო-ს მიხედვით, მინიმალური ანაზღაურების ადეკვატური პოლიტიკა სწორედ დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე დასაქმებული ადამიანებისთვის ქმნის მნიშვნელოვან ბერკეტებს.¹⁶¹

საქართველოში მინიმალური ხელფასის საკითხი შესაბამისი რეგულირების მიღმა დარჩენილი და დღეს არსებული რეტროგრადული ნორმა დასაქმებულთა ინტერესების საზიანო შინაარსისაა¹⁶², რაც არღვევს ღირსეული შრომის უზრუნველყოფის პრინციპს. კერძოდ, მინიმალური ანაზღაურება საქართველოში, კვლავ 20 ლარია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულების მიხედვით.¹⁶³ მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება შეიცავს ნორმას, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მინიმალური ხელფასის გადახედვას

158 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 23, ნაწილი 4.

159 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 76; 77; 78.

160 იხ: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-miesalmeba-shromis-kanonmdeblobashi-gankhortsielebul-tsvlilebebs>

161 ILO, Equal pay, An introductory guide, 2013, pg. 50-51, იხ: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_216695.pdf

162 ფრიდრიხ ებერტის ფონდი, „მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ქრილში“, 2016, იხ: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie_GEO.pdf

163 მუხლი 1, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786?publication=0>

ემსახურება¹⁶⁴, ფუნდამენტური ცვლილებები მას დღემდე არ განუცდია. მინიმალური ხელფასის რეგულაციების ფუნდამენტური რეფორმა, სახელმწიფოს მიერ სოციალურ პარტნიორებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გზით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მინიმალური ხელფასი საქართველოში არსებულ რეალობას უნდა ასახავდეს და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მშრომელების საჭიროებებს შეესაბამებოდეს.¹⁶⁵

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შსო-ს კონვენცია №131 სპეციფიკურად ეხება მინიმალური ანაზღაურების¹⁶⁶ საკითხს და საგანგებოდ მიუთითებს მის როლზე მშრომელთა უფლებების დაცვასა და შესაბამის ქვეყნებში არსებული საბაზო საჭიროებების ასახვაში, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ არის. როგორც უკვე აღინიშნა, მისი რეგულირების მნიშვნელობა შსო-ს №100 კონვენციაშია მოცემული, რომლის აღსრულების ვალდებულება საქართველომ ჯერ კიდევ 1993 წელს აიღო.¹⁶⁷

9.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა შრომით უფლებებზე

COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ყველაზე დიდი ზიანი სწორედ დასაქმების სფეროს, და შესაბამისად, ლგბტ+ თემის ეკონომიკურ მდგომარეობას მიაყენა. ეკონომიკის სფეროში შექმნილი კრიზისის გავლენა, სოციალურად მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებზე, განსაკუთრებულად მძიმედ აისახა. რადგანაც თემის წევრთა დიდი ნაწილი სწორედ მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული, ამ სივრცეებში მუშაობის შეჩერებამ ავტომატურად გამოიწვია თემის წევრთა მიერ სამუშაოს დაკარგვა და შემოსავლების რადიკალური კლება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არაფორმალურ სექტორში ჩართული და თვითდასაქმებული ადამიანებიც. როგორც საზოგადოების დანარჩენი ნაწილი, ეს ჯგუფიც, სამუშაო ადგილზე სოციალური დაცვის მექანიზმების არარსებობის გამო, შემოსავლების გარეშე დარჩა და ვერც ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის მოხვდა.

ამას ადასტურებს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც, კარანტინის პერიოდში, ლგბტ+ რესპონდენტთა 12.8% საერთოდ შემოსავლების გარეშე დარჩა. აქვე, საგულისხმოა, რომ თუ პანდემიამდე ლგბტ+ ჯგუფის (კვლევის მონაწილეთა) ყოველთვიური შემოსავლების მედიანური მაჩვენებელი 900 ლარი იყო, კარანტინის დროს ეს მაჩვენებელი სამჯერ შემცირდა (300 ლარი). ამჟამად კი, რესპონდენტთა საშუალო ყოველთვიური

164 მუხლი 5.

165 GTUC, PDO, Checking the Accordance of the Minimum Wage politics of Georgia in light with the socio-economic development and international obligations, 2016, pg. 5-6, see: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Studie_GEO.pdf

166 შსო-ს არცერთი ინსტრუმენტი არ განსაზღვრავს „მინიმალურ ანაზღაურებას“. ILO: General Survey of 1992, პარა. 27; თუმცა არსებობს შსო-ს ექსპერტთა კომიტეტის განმარტება, რომლის მიხედვით, „მინიმალური ხელფასი არის თანხის ის მინიმალური ოდენობა, რომელიც უნდა გადაეხადოს მუშაკს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამუშაოს შესრულებისთვის ან მომსახურების განწვევისთვის და მუშაკის მიერ სამუშაოს შესრულებაზე დახარჯული დროის ან მიღებული შედეგის შესაბამისად დაანგარიშდეს. მინიმალური ხელფასი არ შეიძლება შემცირდეს ინდივიდუალური ან კოლექტიური ხელშეკრულებით, იგი განისაზღვრება კანონით და მისი ოდენობა, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებასთან ერთად, უნდა ფარავდეს მუშაკისა და მისი ოჯახის მინიმალურ მოთხოვნებს“. იქვე, პარა. 42.

167 nb: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:11200:0::NO::P11200_COUNTRY_ID:102639

შემოსავლების მედიანა პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელზე 45%-ით ნაკლებია და 500 ლარს შეადგენს.¹⁶⁸

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნულ კვლევაში მონაწილე იმ რესპონდენტების 68.1% (N=113), ვინც პანდემიასთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო სამსახური დაკარგა ან დამქირავებელმა დროებით ვეღარ შეძლო ხელფასის გადახდა, ამბობს, რომ დამსაქმებელმა არ უშუამდგომლა სახელმწიფოსთან კომპენსაციის/დახმარების ასაღებად.¹⁶⁹

ზემოხსენებული კვლევის რესპონდენტთა ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასებამ, დასაქმებისა და შემოსავლების ანალიზმა პანდემიამდე, კარანტინის პერიოდსა და კარანტინიდან მოყოლებული, 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, აჩვენა, რომ კვლევის მონაწილეთა ეკონომიკური მდგომარეობა დრამატულად შეიცვალა უარესობისკენ. შესაბამისად, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვა საჭიროებიდან, ხუთიდან ოთხმა რესპონდენტმა ფინანსური დახმარება დაასახელა (80.4%). კვლევის მონაწილეთა ნახევარს (49,8%) საკვები პროდუქტების დეფიციტი შეექმნა, თითქმის ამდენივემ მიუთითა, რომ პრობლემა ჰქონდა კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით (49,3%). კვლევის მონაწილეთა მესამედზე მეტმა (34,6%) მიუთითა, რომ გაუჭირდა ბინის ქირის გადახდა და სჭირდებოდა დახმარება.¹⁷⁰

რეგიონებში პანდემიით გამოწვეული კრიზისი იმდენად მძიმე იყო, რომ სათემო ორგანიზაციებს უწევდათ, არა მხოლოდ ლგბტ+ თემის წევრთათვის გაენიათ მატერიალური დახმარება, არამედ მათი ოჯახებისთვისაც.¹⁷¹ გარდა ამისა, თემის წევრები, რომელთა უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებლებში ჩაბარებასაც პანდემიით გამოწვეული კრიზისი დაემთხვა, არჩევანის წინაშე დადგნენ, გაეგრძელებინათ სწავლა, თუ სამუშაო (სერვისის სფეროში) მოეძებნათ. როგორც ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, თემის წევრები, არსებული სიდუხჭირიდან გამომდინარე, ხშირად არჩევანს დასაქმებაზე აკეთებდნენ.¹⁷²

168 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

169 იქვე.

170 იქვე.

171 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 30.09.2021.

172 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 30.09.2021.

10. ჯანმრთელობის უფლება

10.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო და ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, ხოლო 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოქალაქის უფლება მისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით“. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია“.¹⁷³ დისკრიმინაციის ამკრძალავ ანალოგიურ ნორმას შეიცავს საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებაც.¹⁷⁴

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან დაცვას ლგბტ+ ჯგუფისათვის, უთანასწორო მოპყრობის პრაქტიკა კვლავ გავრცელებულია სამედიცინო სექტორში, მაგრამ მიმართვიანობა დისკრიმინაციულ ქმედებასა თუ უარყოფით გამოცდილებაზე, არსებითად მწირია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, არა მხოლოდ დისკრიმინაციის დადასტურებული ფაქტები, არამედ ლგბტ+ ჯგუფში არსებული დისკრიმინაციის მოლოდინია, რაც საზოგადოებაში არსებული მწვავე ჰომოფობიური განწყობებისა და სტიგმის შედეგია. შესაბამისად, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლგბტ+ წევრთა ნაწილს თავად არ ჰქონია უარყოფითი გამოცდილება სამედიცინო პერსონალის მხრიდან, აუცილებელი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, ხშირად თავს იკავებენ ექიმთან ვიზიტისგან, რათა თავიდან აირიდონ შესაძლო ნეგატიური გამოცდილება.¹⁷⁵ ასევე, სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ ისეთ შემთხვევაში, თუ ლგბტ+ თემის წევრებს უწევთ სამედიცინო სერვისით სარგებლობა (და ის გარკვეულ კავშირშია მათ იდენტობასთან ან სექსუალურ ქცევასთან), ისინი თავს იკავებენ ექიმისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებისგან¹⁷⁶, რაც, შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს მათივე ჯანმრთელობისა და მკურნალობის ეფექტიანობისთვის.

2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 14.4%-მა (N=46) აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სერვისის მიღებისას გამხდარან დისკრიმინაციის მსხვერპლები, თუმცა დისკრიმინაციული ფაქტის შესატყობინებლად, რესპონდენტთა 78.3%-ს არავისთვის მიუმართავს. ამის მთავარ მიზეზად დასახელდა ქმედების არასაკმარისად სერიოზულ ფაქტად აღქმა (25.0%) და კონფიდენციალობის დარღვევის რისკები (19.4%).¹⁷⁷ თუმცა გარდა დისკრიმინაციული პრაქტიკისა, ლგბტ+ თემის წევრებისათვის არსებით პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმიწვდომლობაც. ამავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 22.5%-ს ხელი არ მიუწვდება სამედიცინო სერვისებზე, რაც საგანგაშო შედეგად უნდა შეფასდეს.

173 მუხლი 6.1.

174 მუხლი 6.1.

175 ჯალაღანია ლ. „ლგბტ+ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020.

176 რატიანი ც. და სხვები, „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“, 2015, იხ: https://women.ge/data/docs/publications/WISG_discrimination_and_hate_crime_against_lgbt_persons_KA_EN_2015.pdf

177 ჯალაღანია ლ. „ლგბტ+ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020, გვ. 155.

გარდა ამისა, ლგბტ+ ჯგუფში განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევები. ზემოხსენებულ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 43.1%-მა აღნიშნა, რომ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, და 37.1%-ის თვითშეფასებით, იგი სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ სტიგმასთან, დისკრიმინაციულ პრაქტიკასა თუ მიუღებლობით გამოწვეულ სტრესთან. ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ პრობლემათა შორის ყველაზე დიდი სიხშირით დასახელდა: დეპრესია (74.3%), შფოთვითი აშლილობა (71.4%), პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა (32.1%) და ნივთიერებაზე დამოკიდებულება (31.4%).¹⁷⁸ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები შეგროვდა COVID-19-ით გამოწვეულ პანდემიამდე, რაც ნიშნავს, რომ სურათი რადიკალურად იქნება შეცვლილი უარყოფითი ტენდენციისკენ, რაც გარდა გლობალური კრიზისით მოტანილი შფოთვისა და ბუნდოვანების პრობლემისა, სოციალიზაციის ნაკლებობით, სტრესულ გარემოში ცხოვრებითა და იზოლაციით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან ბრძოლა, მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლენასა და გაცნობიერებას საჭიროებს, რაც გულისხმობს დაკვირვებას ადამიანთა არსებულ სტრესორებსა და სოციალურ გარემოზე. ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის თანახმად, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებით ჯერ კიდევ ინდივიდუალური, კაუზალური მოდელი გამოიყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტერვენციები იმნუთიერ პრობლემასა და ინდივიდუალურ ქცევით ფაქტორებზე ფოკუსირდება, და საფუძვლედებარე სტრუქტურული გარემო-პირობების შეცვლას არ ემსახურება. შესაბამისად, ემოციური სტრესისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მხოლოდ ბიო-სამედიცინო მიზეზებით ახსნა, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების ინდივიდუალიზებას ახდენს და ყურადღების მიღმა ტოვებს იმ სოციალურ მიზეზებს და სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნებს, რაც ამ პრობლემათა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.¹⁷⁹ როგორც გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, „ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების იგნორირების შედეგად მიღებულ სისტემურ ზიანთან გამკლავების ტვირთი ინდივიდებს დააწვავს. [ინდივიდები მასთან გასამკლავებლად] ფსიქიკური ჯანმრთელობის სექტორს მიმართავენ, თუმცა, ამ სექტორს არ ჰყოფნის ადეკვატური რესურსები და შესაბამისი მიდგომები რათა ამ კოლექტიურ [სახელმწიფოებრივ და სოციალურ] ჩავარდნას გაუმკლავდეს“.¹⁸⁰

ამრიგად, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა გულისხმობს არა მხოლოდ ადეკვატური სერვისების არსებობას, არამედ ამ მდგომარეობათა პრევენციას, რაც კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან სამუშაოს საჭიროებს იმ გარემო-პირობების შესაცვლელად, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების წარმოქმნას. არაერთი კვლევის მონაცემების თანახმად, ლგბტ+ ჯგუფი, სოციალური მონყვლადობის გამო, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მაგრამ ეს პრობლემები ინდივიდუალურად და მხოლოდ სამედიცინო მიდგომით ვერ აღმოიფხვრება, რადგანაც მისი გამომწვევი ფაქტორები უკავშირდება მძიმე სოციალურ ფონს, უთანასწორობას და სტიგმას, რაც ლგბტ+ ადამიანების ცხოვრებას მუდმივ დაძაბულობასა და სტრესს უქვემდებარებს.¹⁸¹

178 იქვე, გვ. 166-169.

179 A/HRC/41/34, Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, 12 April 2019, პარა. 4.

180 A/HRC/41/34, Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, 12 April 2019, პარა. 7.

181 ჯალაღანია ლ. „ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020.

ჯანდაცვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სახელმწიფოს მხრიდან ტრანს* ადამიანთა საჭიროებების უგულებელყოფა. ტრანს* ადამიანთათვის ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის არსებობას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ჯანმრთელობის უფლების, ისე მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებისათვის. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულმა კომისიამ (ECRI) საქართველოს შესახებ ანგარიშში მიუთითა, რომ გენდერის კვლავ მინიჭების პროცედურებისთვის ზუსტი გაიდლაინები უნდა განისაზღვროს.¹⁸² ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისების გაიდლაინის შემუშავების რეკომენდაცია საქართველოს ასევე მისცა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნის დისკრიმინაციული მოტივით ძალადობისგან დაცვის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა, რომლის რეკომენდაციით, სახელმწიფომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კლინიკური გაიდლაინები უნდა შეიმუშაოს.¹⁸³

ამ მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წელს ზოგადი წინადადებით მიმართა ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების შესახებ¹⁸⁴, სადაც აღნიშნულია, რომ შესაბამისი, ეროვნულ დონეზე ადაპტირებული კლინიკური პროტოკოლებისა და გაიდლაინების არარსებობის პირობებში, ჯანდაცვის სერვისის გამცემი ის პირები, ვინც ტრანს ადამიანებს ტრანსსპეციფიკურ სერვისებს სთავაზობენ, იძულებულნი არიან, დაეყრდნონ იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც სხვა ქვეყნების სამედიცინო, სოციალური თუ სხვა შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებითაა შექმნილი და შესაბამისად, მასში არ არის გათვალისწინებული ის სპეციფიკური საჭიროებები, რაც, შესაძლოა, კონკრეტულად საქართველოს კონტექსტისთვის იყოს დამახასიათებელი.¹⁸⁵ სახალხო დამცველმა, ზოგადი წინადადებით ასევე მოუწოდა სამინისტროს, შეექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციას (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტს (პროტოკოლი). თუმცა, როგორც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფში მონაწილეებისგან მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ მიიღო ეს წინადადება, სამუშაო ჯგუფი ჯერაც არ არის შექმნილი და შესაბამისად, ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პროტოკოლებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებაზე მუშაობაც არ დაწყებულა.¹⁸⁶

10.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა ჯანმრთელობის უფლებაზე

ქალთა ინიციატივების ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მონაწილეებმა, რომელთაც ეთხოვათ შეეფასებინათ საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა COVID-19 პანდემიის დაწყებამდე და დაწყების შემდეგ, აღნიშნეს, რომ მათი ფსიქიკური, ფიზიკური

182 ECRI, Report on Georgia, Fifth monitoring Cycle, 2016, პარა. 111.

183 A/HRC/41/45/Add.1, 2019, პარა. 78; 119.

184 საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისადმი „ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების შესახებ.“ 13.05.2020.

185 იქვე.

186 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 30.09.2021.

ჯანმრთელობის მდგომარეობა, ისევე როგორც ცხოვრებით კმაყოფილება, პანდემიიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად გაუარესდა. „პანდემიამდე გამოკითხულთა წილი, ვინც ნეგატიურად აფასებდა საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობას, მხოლოდ 7.1% იყო. პანდემიის დაწყებიდან ასეთი რესპონდენტების წილი თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა და 17.1% გახდა. იგივე სიტუაციაა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებითაც: პანდემიის დაწყებიდან თითქმის სამჯერ გაიზარდა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას ნეგატიურად აფასებს (შესაბამისად, პანდემიამდე 13.7% და 35.1%). კიდევ უფრო დრამატულად გაიზარდა იმ რესპონდენტთა წილი, ვისი ცხოვრებით კმაყოფილების ინდექსიც უარყოფით ველში იყო - 18%-იდან 46%-მდე“.¹⁸⁷

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ხარისხი დაკავშირებულია ლგბტ+ ადამიანთა ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ასევე, მათ მიერ ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის თვითშეფასებასთან. WISG-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელთა შემთხვევაში ოჯახის წევრებთან ურთიერთობა უკეთესობისკენ შეიცვალა, უფრო მეტად კმაყოფილები არიან საკუთარი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობით, ისევე როგორც ცხოვრებით.¹⁸⁸

ჯანდაცვისა და სოციალურ კრიზისზე გადაუდებელი რეაგირების მოთხოვნის პარალელურად, ლგბტ+ ჯგუფში უპრეცედენტოდ გაიზარდა ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის სერვისებზე მიმართვიანობა. „ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებსაც თან ახლავს საზოგადოებრივი სტიგმა, პოლიტიკურად უგულებელყოფილია“.¹⁸⁹ ამ პირობებში, თემისათვის სერვისების უწყვეტად მიწოდება კვლავ სათემო ორგანიზაციებმა იტვირთეს.¹⁹⁰

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის კვლევის მიხედვით, „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდებისას, დისტანციური წესით სარგებლობის წინაპირობა დამატებით ბარიერად იქცა - თემის ნაწილს კომუნიკაციებთან წვდომა შეზღუდული აქვს, ნაწილი კი, საცხოვრებელი პირობების გამო, ვერ ახერხებს განმარტობას, რათა სრულფასოვნად, უსაფრთხოდ შეძლოს რეაბილიტაციის კურსის გავლა. ყოველივე ამას თან ერთვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯებთან გამკლავების პრობლემა. ჩნდება დაშვება, რომ კომბინირებული კრიზისი თემში თვით-დესტრუქციული ქცევების მაპროვოცირებელი გახდება“.¹⁹¹

187 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

188 იქვე.

189 იქვე.

190 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 09.2021.

191 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

11. სოციალური დაცვა და საბინაო პოლიტიკა

11.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, უსახლკარობის პრობლემისა თუ მისი რისკების დაზღვევა ქვეყანაში სიღარიბესთან ბრძოლის ფართო პოლიტიკის ფუნდამენტური ნაწილი უნდა იყოს. საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 20.1%, ხოლო სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის მიღმა მოსახლეობის 19.5% ცხოვრობდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში სიღარიბეში მოსახლეობის 14.9% ცხოვრობდა¹⁹², 2020 წელს კი ამ მაჩვენებელმა მოსახლეობის 20.3%-ს, ანუ 754,000 ადამიანს მიაღწია. ეს მონაცემები საქართველოს მთლიანი მოსახლეობის სოციალური მოწყვლადობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს, რაც მრავალ ურთიერთგადასაწყვეთ ფაქტორთან არის დაკავშირებული. თუმცა სახელმწიფოს პოლიტიკის არაეფექტიანობის მაჩვენებელია ისიც, რომ სახელმწიფო ჯერაც არ ფლობს უსახლკაროთა სტატისტიკურ მონაცემებს, „სახელმწიფო ვერ ხედავს უსახლკარო ჯგუფების მრავალფეროვნებას და ინდივიდუალურად არ სწავლობს მათ საჭიროებებს“.¹⁹³ შესაბამისად, პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვა და მასთან გამკლავება შესაბამისი ეფექტიანი ზომების მიღმა რჩება.

საქართველოში არ არსებობს „უსახლკარო პირის“ ცნების განსაზღვრება, ისევე როგორც, თავად „უსახლკარობის“ დეფინიცია და სტატისტიკური მონაცემი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს როგორც ლგბტ+ თემში, ისე მთლიან მოსახლეობაში, უსახლკარობის ან მისი რისკის მაჩვენებელი. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, უსახლკარო პირთა რეგისტრაცია განსხვავებული წესით ინარჩუნება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე. ასევე არ არსებობს შეთანხმებული კრიტერიუმები, თუ ვინ შეიძლება მოხვდეს უსახლკაროთა კატეგორიაში, ან იმ კატეგორიაში, რომლებიც უსახლკარობის რისკის წინაშე დგანან, ეს კი მძიმე შედეგების მომტანია პრაქტიკაშიც, ინდივიდებისა და შინამეურნეობებისთვის, ასევე, მათ მიერ სოციალური დახმარების მიღების თვალსაზრისითაც.¹⁹⁴

უფლებადამცველ ორგანიზაციათა მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც აანალიზებენ საქართველოში ლგბტ+ პირთა დასაქმების შესაძლებლობებს, სამუშაო გარემოს, ძალადობის მასშტაბსა და ზოგადად კეთილდღეობის მაჩვენებლებს, სიღარიბესთან და უსახლკარობის რისკებთან დაკავშირებული ტენდენციების გამოკვეთის საშუალებას იძლევა. სოციალური ექსკლუზიის პრედიქტორებთან დაკავშირებით 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ¹⁹⁵, რომელშიც 320-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აჩვენა, რომ რესპონდენტთა 60.5%-ის შემთხვევაში, დასაქმების ადგილზე საშუალო ანაზღაურება 60.5%-ს შეადგენდა. გამოკითხულთა 82%-მა აღნიშნა, რომ მათ მიერ გამოიმუშავებული ანაზღაურება მხოლოდ კვების, ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ჰყოფნის. შესაბამისად, მაღალი იყო რესპონდენტთა მიერ საბაზო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად თანხის სესხების პრაქტიკაც, რესპოდენტთა 63%-ს თანხის სესხება

192 იხ: <https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.LMIC?locations=GE&view=chart&fbclid=IwAR28wrUozPOWPpWeRGcQvvhgqPbKkaPHs3SFhPVQdlqZ7E45eksJbYlPY0>

193 სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში. თავი: 17 სათანადო საცხოვრებლის უფლება. გვ. 294. იხ: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

194 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021.

195 ჯალაღანია ლ. ლგბტ+ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 134-135.

მხოლოდ ყოველდღიური ხარჯის დასაფარად მოუწია.¹⁹⁶ ეს მონაცემები ლგბტ+ თემის სოციალურ მოწყვლადობაზე მიუთითებს, ასევე, იმაზე, რომ არსებული შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების ადეკვატურ ხარისხს¹⁹⁷, რაც ასევე არასტაბილურს ხდის მათ მიერ საცხოვრებელი პირობებისა თუ თავად საცხოვრისის შენარჩუნებას.¹⁹⁸

ამავე კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ ლგბტ+ რესპოდენტთა 20.9% (N=63) მდგარა უსახლკარობის პრობლემის წინაშე, ხოლო 13.4%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. უსახლკარობის გამოცდილების მქონე რესპოდენტთა 44.8-მა მიუთითა, რომ უსახლკარობის გამოცდილება დაკავშირებული იყო მათ იდენტობასთან. ამასთანავე, მის გამომწვევ მიზეზებს შორის, რესპოდენტთა ნაწილმა გარდა ფინანსური შემოსავლების არქონისა (58.1%), ასევე მიუთითა ოჯახის წევრებთან ქამინგაუთი (43.5%) და ოჯახის წევრების მხრიდან მათი იდენტობის გამო ძალადობა (41.9%). აღნიშნული მძიმე შედეგები აჩვენებს, რომ სიღარიბისა და უსახლკარობის პრობლემა ლგბტ+ თემისთვის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული გამომწვევაა, რაც სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ ყურადღებასა და მყისიერი ზომების მიღებას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს უსახლკაროთა თავშესაფრები, მათ შორის, ბათუმის, ქუთაისის და თბილისის მუნიციპალური თავშესაფრები, ლგბტ+ თემისათვის ამ სერვისებით სარგებლობა მრავალ ბარიერთან არის დაკავშირებული და საფრთხის შემცველია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ პრობლემისა და რისკის წინაშე ყველაზე ხშირად ლგბტ+ თემის მოზარდი და ახალგაზრდა ნაწილი დგება. ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებით ირკვევა, რომ თემის წევრებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფის მთელი ტვირთი მათზე გადადის, რაც გულისხმობს დონორ ორგანიზაციათა მხარდაჭერით თემის წევრებისთვის ბინის ქირით დროებით უზრუნველყოფას.¹⁹⁹ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ უსახლკარობის პირას მყოფი თემის წევრი საგანგებო და იმწუთიერი რისკის დასაზღვევად, ოფისში ან თუნდაც საკუთარ სახლებში არაერთხელ შეუფარებიან.²⁰⁰

ამ პრობლემის გავლენისა და შედეგების შესამსუბუქებლად ლგბტ+ სათემო ორგანიზაციები დიდი ხანია მუშაობენ ლგბტ+ ადამიანთა საჭიროებებზე მორგებული კრიზისული თავშესაფრის შექმნაზე. ამ პროცესს ამ ეტაპზე NCDC-ის ბაზაზე ორგანიზაცია „ლგბტქი ასოციაცია თემიდა“ უდგას სათავეში და იგი CCM-ისა და გლობალური ფონდის მხარდაჭერით იგეგმება. ლგბტ+ ორგანიზაციათა ნაწილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება დიფერენცირებული თავშესაფრების ამუშავებას, რაც აუცილებლად მოითხოვს საუკეთესო პრაქტიკების შესწავლასა და ძალადობის ან შემდგომი გარიყულობის/სეგრეგირებისგან დაცვის ინსტრუმენტების შექმნას.²⁰¹ მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა ამჯერადაც იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოს ნაცვლად, მოსახლეობის ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფების საბაზო სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება კვლავ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გადადის, რადგანაც ეს საკითხი სახელმწიფოს შესაბამის უწყებათა პრიორიტეტებში ჯერჯერობით ვერ ხვდება.

196 იქვე.

197 იქვე.

198 ამავე კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა მხოლოდ 6% ფლობს საკუთარ საცხოვრებელ სახლს.

199 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021; 30.09.2021.

200 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021; 30.09.2021.

201 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021.

11.2. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა საცხოვრისის უფლებაზე

პანდემიამ და მასთან ბრძოლის დროებითმა ღონისძიებებმა არსებითად ნეგატიური გავლენა მოახდინა ლგბტ+ თემის წევრთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ზოგად კეთილდღეობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ლგბტ+ ადამიანთა დიდი ნაწილი, მათ შორის, ტრანს* სექს მუშაკი ადამიანები ვერ იღებდნენ დახმარებას სახელმწიფოსგან, არასამთავრობო ორგანიზაციებს თვეების განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მოუწიათ მუშაობა, რაც გულისხმობდა სწრაფი რეაგირების მექანიზმების მთელი პაკეტის შექმნას ლგბტ+ თემის წევრებისათვის.²⁰²

პანდემიის დასაწყისში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ორგანიზება გაუკეთა ჰუმანიტარული დახმარებების პაკეტს ლგბტ+ ადამიანებისთვის, რომელთაც სათემო ორგანიზაციების დახმარებით გადაეცათ ჰიგიენური ნივთები და საკვები, თუმცა, ბუნებრივია, ამ დახმარებას ლგბტ+ ადამიანთა საჭიროების პოლიტიკაში ასახვის განგრძობით პრაქტიკად ვერ განვიხილავთ; ლგბტ+ ადამიანთა საჭიროებები ასევე არ ყოფილა შეტანილი სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაში, რაზეც კოალიციამ თანასწორობისთვის სპეციალური განცხადებაც გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ „სათემო ორგანიზაციებთან კონსულტაციების მიუხედავად, ანტიკრიზისულ გეგმაში არც ლგბტქი ადამიანების საჭიროებებია გათვალისწინებული [...] მათი გადაუდებელი საჭიროებები, მათ შორის ქირის სუბსიდირება და ალტერნატიული საცხოვრისით ან თავშესაფრით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ანტიკრიზისული დახმარების პროგრამის მიღმა დარჩა. კრიზისის დაძლევის პროცესში, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეაგირება სათემო ორგანიზაციების მოთხოვნებზე ფრაგმენტულია და პროაქტიულად არ პასუხობს დღის წესრიგში მდგარ კომპლექსურ გამოწვევებს“.²⁰³

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს მიერ უშუალოდ სათემო ორგანიზაციებისთვის გადაცემული რამდენიმე ათეული ყუთი საკვებისა და პირადი ჰიგიენის პაკეტით, რომელიც პირველივე დღეებში საჭიროებების შესაბამისად დარიგდა ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალების ჯგუფებში, ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარების აქტია და შეუძლებელია ეს ლგბტქი თემის ზოგად თუ ამჟამინდელ კრიზისულ საჭიროებებზე ადეკვატურ პასუხად ჩაითვალოს“.²⁰⁴

როგორც უკვე აღინიშნა, COVID-19-ის გავლენის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევის მიხედვითაც, თავშესაფრის საკითხი პანდემიის დროს ყველაზე პრობლემურ საკითხად იქნა მიჩნეული - „მაშინ, როდესაც ოჯახებისაგან გარიყულმა და ანაზღაურების გარეშე დარჩენილმა თემმა ვერც სახლში დაბრუნება შეძლო და ვერც ბინის ქირის გადახდა. კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის თანახმად, პანდემიის დროს, 211 რესპონდენტიდან ყოველ მეათეს შეექმნა საცხოვრისის პრობლემა (12,8%), ყოველ მესამე რესპონდენტს კი (34,6%) ბინის ქირის გადახდა გაუჭირდა“.²⁰⁵

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების თანახმად, COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ, სათემო

202 მაგალითისთვის იხილეთ: <https://wisg.org/ka/news/detail/295/სწრაფი-რეაგირების-მექანიზმი-ლგბტქი--თემის-წევრებისათვის>.

203 კოალიცია თანასწორობისთვის - ანტიკრიზისული გეგმის მიღმა დარჩენილთა საჭიროებებზე, 1 მაისი 2020.

204 იქვე.

205 გამოუქვეყნებელი კვლევა: ადდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021

ორგანიზაციებმა სახელმწიფოსთან მჭიდრო საადვოკაციო პროცესის ინიცირება მოახდინეს, რათა სწრაფი რეაგირების მექანიზმები სახელმწიფოს გადაეხარებინა. საამისოდ ახლო კომუნიკაცია დამყარდა მთავრობის ადმინისტრაციასა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარესთან, თუმცა მას შემდეგ, რაც უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ პოზიცია დატოვა, საადვოკაციო პროცესი შეჩერდა. ეს კი სახელმწიფოში კონკრეტულ მექანიზმთა არსებულ სისტემაში ჩაშენების და მისი მდგრადობის შენარჩუნების პრობლემაზე მიუთითებს.²⁰⁶ როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული პოზიტიური ცვლილებები ინდივიდუალურ საჯარო მოხელეებზეა მიბმული და მათი წასვლის შემთხვევაში სიტუაცია კვლავ ჩერდება ან/და უფლებადამცველებსა და აქტივისტებს ხელახალი საადვოკაციო პროცესის წარმართვა უწევთ.

206 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 30.09.2021.

12. ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა

12.1. არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები

არაჰეტეროსექსუალ წყვილთა უფლებების აღიარება პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ფუნდამენტური ნაწილია, და ის ასევე მოიცავს, ქორწინების თანასწორობას, სამოქალაქო პარტნიორობაზე წვდომის შესაძლებლობას და მასზე დაფუძნებული სოციალური თუ კულტურული უფლებებით სარგებლობას. ამ უფლების განხორციელება ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალური დაცვის, მემკვიდრეობის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებულ გარკვეულ უფლებებთან, ასევე ზოგადად, ადამიანის თვითგამორკვევის ფუნდამენტურ უფლებასთან.

საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო ამხვილებენ ყურადღებას სახელმწიფოთა ვალდებულებებზე, უზრუნველყონ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების პრაქტიკაში რეალიზება. ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/Rec (2010)5 სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრა ჰეტეროსექსუალ და არაჰეტეროსექსუალ პარტნიორებს შორის, ამასთანავე, რეკომენდაცია აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაძლებლობა ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებისათვის, მათ სოციალურ რეალობასთან დაკავშირებული პრობლემები სამართლებრივი და სხვა მექანიზმების მიღების გზით აღმოფხვრან.²⁰⁷

საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს არაჰეტეროსექსუალ წყვილთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, ის არც ქორწინების თანასწორობის უფლებას უზრუნველყოფს და არც მისგან ალტერნატიული ინსტიტუტის საშუალებით იძლევა ამ უფლების დაცვის შესაძლებლობას.

საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინების უფლება 2017 წლის საქართველოს კონსტიტუციის რეფორმით დავინროვდა. ახალი რედაქციის 30-ე მუხლი ქორწინების უფლების შემზღუდავ დეფინიციას ადგენს: „ქორწინება, როგორც ქალისა და კაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. კონსტიტუციაში ქორწინების, როგორც ქალისა და კაცის კავშირის, განსაზღვრა საქართველოში წლების განმავლობაში იყო პოლიტიკური სპეკულირების საკითხი, ასევე, მმართველი პარტიის წინასაარჩევნო დაპირება და მას როგორც მთავრობა, ისე საპარლამენტო უმრავლესობა უჭერს მხარს.²⁰⁸ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური ცვლილებების პროექტზე მუშაობისას საკონსტიტუციო კომისიამ მხარი არ დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაციების შეთავაზებას, კონსტიტუციაში ასევე გაკეთებულიყო ჩანაწერი სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ, კერძოდ, დამატებოდა წინადადება: „თანაცხოვრების სხვა ფორმები რეგულირდება კანონით“.²⁰⁹

ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობას გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, რომლის მიხედვით, „ქორწინება არის ოჯახის შექმნის

207 Committee of Ministers Recommendation CM/Rec(2010)5 on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, adopted 31 March 2010, პარა. 23-25.

208 nb: <https://netgazeti.ge/news/199896/>

209 იქვე.

მიზნით ქალისა და კაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში²¹⁰ სამოქალაქო კოდექსი ასევე არ შეიცავს ჩანაწერს თანაცხოვრების ალტერნატიული ფორმების აღიარებაზე.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ლგბტ+ წყვილთა ურთიერთობის ალტერნატიული რეგულირების და თანაცხოვრების აღიარების არცერთ ფორმას, მათ შორის, სამოქალაქო პარტნიორობის ინსტიტუტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე სქესის წყვილებს ურთიერთობის ქორწინებით აღიარებასთან ერთად, ხელი არც სპეციალურ რეჟიმზე - „სამოქალაქო პარტნიორობაზე“ და ამ ფორმით დარეგისტრირების შესაძლებლობაზე მიუწვდებათ. საერთაშორისო ვალდებულებებთან ერთად, ეს წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებულ მოსაზრებებში, სადაც ცხადად იყო აღნიშნული, რომ ქორწინების უფლების მარეგულირებელ ნორმებს ერთი და იმავე სქესის წყვილები სამართლებრივი აღიარების გარეშე არ უნდა დაეტოვებინა.²¹¹

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ჯერჯერობით ასევე არ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების თანასწორობისა თუ თანაცხოვრების აღიარებლობის საკითხზე - მიუხედავად შესული სარჩელისა, მას არსებითად არ უმსჯელია, მისი დაუსაბუთებლობის გამო.²¹² თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული მკაცრი შეზღუდვებისა ქორწინების თანასწორობის უფლებაზე, ლგბტ+ პირთა თანაცხოვრების სხვა ფორმების სამართლებრივი აღიარების და შესაბამისი გარანტიების სახით პრაქტიკული თანასწორობის მოთხოვნა წინააღმდეგობაში არ მოდის ქორწინების ინსტიტუტის ქალისა და კაცის ერთობამდე შეზღუდვასთან. როგორც საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებით ჩანს, სახელმწიფოებს ევალება უზრუნველყონ ლგბტ+ პირთა თანაცხოვრების სამართლებრივი აღიარება, რათა მათ შეძლონ ისარგებლონ საბაზო მატერიალური, სოციალური თუ კულტურული ბენეფიტებით.²¹³

ამასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა განმარტავს, რომ „საზოგადოებაში არსებული არატოლერანტული დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება მიემართებოდეს კონკრეტულ ადამიანთა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, არ შეიძლება გამოიყენებოდეს,

210 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1106.

211 CDL-AD(2017)013-e Georgia - Opinion on the draft revised Constitution;

212 საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო საქმე გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელზეც მოსარჩელე დავობდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის სიტყვების, „ქალისა და მამაკაცის“, როგორც ქორწინების სუბიექტების სქესით შეზღუდვის საქართველოს კონსტიტუციის 36- მუხლთან (ახალი რედაქციით, 30-ე მუხლთან) შესაბამისობაზე, რომელიც მეუღლეებს შორის ქორწინებაზე საუბრობს და სქესს არ აკონკრეტებდა. ამ საქმეზე, სასამართლოს ერთგვარად გაჰყავს ქორწინების თანასწორობის საკითხი ქორწინების განმსაზღვრელი ნორმიდან (36-ე მუხლი, ახალი რედაქციით 30-ე მუხლი), და მას უფრო სპეციალური მე-14 მუხლის (ახალი რედაქციით, მე-16 მუხლის), თანასწორობის ნორმა-პრინციპის ნაწილად აღიქვამს. როგორც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დეკლარირებული პრინციპის გაგება კონკრეტული უფლების ან უფლებათა გარკვეული ჯგუფის ქრილში, უსაფუძვლოდ დააკნინებდა მის მნიშვნელობას“. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტები ეხებოდა არა ქორწინების უფლებას, არამედ კანონით განსაზღვრული ქორწინების რეჟიმის დისკრიმინაციულობას. ამდენად, სარჩელი, დაუსაბუთებლობის და წარდგენილი არგუმენტების დაყენებულ მუხლთან მიმართების არარსებობის გამო, წარმოებაში ვერ მიიღებოდა.

213 ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები.

როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის გამართლება, რადგან ის ემსახურება, ადამიანის უფლებათა დარღვევის ლეგიტიმაციას, რაც სრულიად მიუღებელია“.²¹⁴ სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ წინასწარგანწყობების დასაძლევად, რომლებიც საფუძვლად ედება დისკრიმინაციის შენარჩუნებას, რათა შეასრულონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანის უფლებების დაცვისა და გაძლიერების ვალდებულება და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.²¹⁵

ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობა

ლგბტ+ ადამიანთა თანაცხოვრებისა და ურთიერთობების სამართლებრივი აუღიარებლობის პრობლემა სხვა მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემასთან ერთად, ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის უხილავობის და ფარულობის მიზეზიც ხდება, შესაბამისად, ურთიერთობაში წარმოშობილი ძალადობრივი ან/და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები გამოვლენის, სტატისტიკის არარსებობის გამო, მისი მასშტაბის შესწავლასა და მის შესამცირებლად პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვას შეუძლებელს ხდის.

პრობლემის ფარულობას ხელს უწყობს ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის არსებული სამართლებრივი მექანიზმების მოუქნელობაც, რომელიც მეტწილად ჰეტეროსექსუალურ ოჯახზე თუ თანაცხოვრებაზეა მორგებული, რაც, თავის მხრივ, იწვევს არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი მსხვერპლის შესაძლო ექსკლუზიას მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის არსებული სახელმწიფო სერვისებიდან, ართულებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობებს და არსებითად ამცირებს დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებებს.²¹⁶ ამასთანავე, ჰომოფობიით გამოწვეული გაძლიერებული მარგინალიზება და სოციალური სტიგმა კიდევ უფრო ამწვავებს შიდა ურთიერთობებში შესაძლო ძალადობის რისკს და ინტიმურ ურთიერთობაში მყოფ პირებს იზოლაციასა და დახმარების გარეშე ტოვებს.²¹⁷

ყურადსაღებია, რომ საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ინტიმურ პარტნიორთა შორის ჩადენილ დანაშაულთა მიმართებით განსაკუთრებით მონყვლადები არიან ლგბტ+ ქალები. გამოკითხვების მიხედვით, ლესბოსელ და ბისექსუალ ქალთა 81.2% (N=95) დაექვემდებარა ძალადობას 2015-დან 2018 წლის პერიოდში, კვლევის მიხედვით, ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე ხშირად ფსიქოლოგიური ძალადობა სჭარბობს.²¹⁸

2021 წელს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ვისაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰყოლია/ჰყავს ინტიმური პარტნიორი, თითქმის მესამედი (N=63, 31.3%) ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, რესპონდენტთა დანარჩენი ნაწილი (N=92,

214 PACE, Private and family life: achieving equality regardless of sexual orientation, Report, Doc. 14620|September 2018, პუნქტი 5.

215 იქვე.

216 ჯალაღანია ლ. და ჩუთლაშვილი ქ. ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე: საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები, 2018, გვ. 62.

217 იქვე, გვ. 55.

218 WISG, SHADOW REPORT to the Pre-Sessional Working Group for the 81st session of the Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), Upcoming Pre-Sessional Working Group (05 Jul 2021 - 09 Jul 2021) State party: Georgia Discrimination and Violence Against Lesbian, Bisexual, Trans and Intersex Women in Georgia, პარა. 14, იხ: <https://wisg.org/Data/docs/news/2021/Shadow%20Report%20%28Georgia%29%20on%20Discrimination%20and%20violence%20against%20LBTI%20women%20-%20WISG.pdf>

45.8%) კი იმყოფება ურთიერთობაში, რომელსაც ორმხრივი ძალადობა ახასიათებს.²¹⁹ გამოკითხულთა 36.8%-ს (N=74) თავადაც უძალადია პარტნიორზე ფსიქოლოგიურად, თითქმის ყოველ მეხუთეს (19.9%, N=40) კი, ერთხელ მაინც უძალადია პარტნიორზე ფიზიკურად.²²⁰

ამავე კვლევის მიხედვით, ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ფსიქოლოგიური ძალადობაა (72.1%, N=145); რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (44.8%, N=90) ამბობს, რომ პარტნიორი ამა თუ იმ ფორმით აკონტროლებს მის სოციალურ კონტაქტებს და ზღუდავს მის გამოხატვას; 41,3%-მა (N=83) განაცხადა, რომ ერთხელ მაინც გამხდარა სექსუალური ძალადობის/შევიწროების მსხვერპლი პარტნიორის მხრიდან, ყოველი მესამე რესპონდენტი (33.3%, N=67) ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ყოველი მეხუთე (20,4%, N=41) კი - ეკონომიკურის.

საქართველოს მიერ 2017 წელს რატიფიცირებული სტამბოლის კონვენცია ოჯახში ჩადენილ დანაშაულს განმარტავს, როგორც „ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომელიც ხორციელდება ოჯახში ან საშინაო ერთობაში ყოფილ და არსებულ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, მოძალადე იზიარებს ან იზიარებდა თუ არა მსხვერპლთან საერთო საცხოვრებელ ადგილს“.²²¹ საქართველოს კანონმდებლობა კი, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ოჯახში ჩადენილ დანაშაულად არ აღიარებს თანაცხოვრებაში არმყოფ როგორც ჰეტეროსექსუალ, ისე არაჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის არსებულ ძალადობრივ ქმედებებს. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში 2017 წლის 4 მაისს შესული ცვლილებების შედეგად, ოჯახის წევრთა წრე გაფართოვდა და მოიცვა როგორც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ასევე ის პირებიც, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.²²² თუმცა, ბუნებრივია, ლგბტ+ პირთა თანაცხოვრება ვერ მოხვდება „არარეგისტრირებულ ქორწინებაში“ მყოფ პირთა წრეში. რაც შეეხება ერთიან საოჯახო მეურნეობას, ასეთ შემთხვევაში, მეტი თეორიული შესაძლებლობაა, ოჯახში ძალადობის ამკრძალველი დებულებები გავრცელდეს იმ წყვილებზე, რომლებიც ერთად ცხოვრობენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც. თუმცა, ისეთ შემთხვევაში, თუ წყვილი არ ცხოვრობს ერთად და შესაბამისად, არ ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას, ის ამ დაცვის მიღმა რჩება (ეს პრობლემა, ასევე მიესადაგება იმ ჰეტეროსექსუალ წყვილებს/პარტნიორებს, რომლებიც ერთად არ ცხოვრობენ).

ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა სისტემამ აღიაროს ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა შორის ჩადენილი დანაშაულის გამოვლენისა და რეგულირების საჭიროება, რათა მსხვერპლს სათანადო დაცვის მექანიზმები საჭიროებაზე დაყრდნობით შეეთავაზოს და სათემო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება.

219 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

220 იქვე.

221 Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, მუხლი 3, პუნქტი ბ).

222 მუხლი 4, პუნქტი ბ).

12.2. COVID-19-ის გავლენა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებაზე

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების თვალსაზრისით, ლგბტ+ თემის წევრებისათვის განსაკუთრებული გამოწვევა აღმოჩნდა სოციალური იზოლაცია და მხარდამჭერი სივრცეების შემცირება. როგორც ლგბტ+ სათემო ორგანიზაციათა წარმომადგენლები უთითებდნენ, ადგილზე შექმნილი ერთობები, პანდემიამ გარკვეულწილად ჩამოშალა.²²³ ონლაინ კომუნიკაცია არსებითად პრობლემური აღმოჩნდა როგორც სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, ისე თავად თემისთვისაც, რადგან ბევრ მათგანს არ მიუწვდებოდა ხელი ინტერნეტსა და კომპიუტერულ გაჯეტებზე, თუმცა ასევე იდგა კონფიდენციალობის დარღვევის რისკებიც. ამიტომაც, მიუხედავად სათემო ორგანიზაციების მხრიდან მჭიდრო კომუნიკაციისა თემის წევრებთან, არსებითად რთული აღმოჩნდა მათთვის ჩვეული უსაფრთხო და მხარდამჭერი სივრცეების შეთავაზება.²²⁴

ამგვარ ჩაკეტილ პირობებში, თემის ის წევრები, რომლებიც პარტნიორებთან ერთად ცხოვრობდნენ, მათთან იზოლაციაში აღმოჩნდნენ, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო პანდემიის დროს ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის სხვადასხვა ფორმის ზრდას. როგორც ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის კვლევა აჩვენებს, კოვიდ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა, მთლიანობაში, ნეგატიური გავლენა იქონია ინტიმურ პარტნიორებს შორის ურთიერთობის ხარისხზე. „177 რესპონდენტიდან, 68 რესპონდენტი (38.4%) ამბობდა, რომ ურთიერთობა მკვეთრად ან შესამჩნევად გაუარესდა [პანდემიის პირობებში]“.²²⁵ კვლევის მიხედვით, ურთიერთობის ხარისხის ცვლილება დაკავშირებულია ძალადობის გამოცდილებასთან. მათ შორის, ვისაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰყოლია/ჰყავს ინტიმური პარტნიორი თითქმის მესამედი (N=63, 31.3%) ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, რესპონდენტთა დანარჩენი ნაწილი (N=92, 45.8%) კი იმყოფება ურთიერთობაში, რომელსაც ორმხრივი ძალადობა ახასიათებს.²²⁶

223 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021; 30.09.2021.

224 ფოკუს ჯგუფი ლგბტ+ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, 16.09.2021; 30.09.2021.

225 გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021

226 იქვე

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც წინამდებარე ანგარიში აჩვენებს, ლგბტ+ ჯგუფის უფლებების აღიარების კუთხით სახელმწიფოს მიერ წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ამ უფლებების პრაქტიკაში ეფექტიანურ განხორციელებას კვლავ არსებითი და მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ხვდება. ლგბტ+ ადამიანები ცხოვრების ყველა სფეროში ექვემდებარებიან დისკრიმინაციისა და ძალადობის განგრძობით პრაქტიკას, რაც მათი ცხოვრების ხარისხს აუარესებს და ქმნის გადაულახავ ბარიერებს მათთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობის პროცესში, რაც კიდევ უფრო ხილვადი გახდა კოვიდ 19-ით გამოწვეული სოციალური და ჯანდაცვის კრიზისის პირობებში.

ლგბტ+ ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებით სარგებლობის პრაქტიკის მიმოხილვისას ნათელი ხდება, რომ საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ლგბტ+ ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია და თანადროულად განიცდის ინსტიტუციური ჰომოფობიის, ნეგატიური საზოგადოებრივი დამოკიდებულებებისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მძიმე გავლენებს. ანგარიშმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ლგბტ+ ჯგუფის მიმართ არ არის თამიმდევრული და არ ეფუძნება ჯგუფის რეალურ საჭიროებებს, რაც ასევე ნათლად ჩანს საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სისუსტეში - სახელმწიფო იღებს საკანონმდებლო ან პოლიტიკის ზომებს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაზე არ აისახება და ლგბტ+ ჯგუფის ცხოვრების ხარისხს ვერ აუმჯობესებს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ლგბტ+ ჯგუფის უფლებების რეალურ აღიარებასა და ეფექტიანი, ჯგუფის საჭიროებებზე დაფუძნებული კომპლექსური ზომების მიღებას, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება და ამისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

საქართველოს მთავრობამ:

- ✓ მიიღოს შესაბამისი ზომები ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების, სტიგმისა და წინასწარგანწყობების აღმოსაფხვრელად. ეს ზომები უნდა ეფუძნებოდეს არსებული დამოკიდებულებების მიზეზების შესწავლას და მათი გავლენის ანალიზს როგორც ლგბტ+ ჯგუფზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე. თანასწორობაზე ორიენტირებულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეებში ამ საკითხების აქტიური შეტანა, როგორც სამოქალაქო განათლების სწავლების, ისე ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების შესაბამის კურსკულუმებში.
- ✓ გენდერული თანასწორობის ეროვნულმა სამთავრობო მექანიზმმა - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ უნდა უზრუნველყოს ლგბტ+ ჯგუფის უფლებებსა და დისკრიმინაციის შემცირებაზე საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კომისიაში შემავალი უწყებების მიერ ლგბტ+ საკითხების გენდერული თანასწორობისა და ინტერსექციური დისკრიმინაციის აღმოფხვრის ფართო მიზნის ნაწილად დანახვას და შესაბამისი ზომების მიღებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ:

- ✓ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებებზე ეფექტიანი საპოლიციო პასუხისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაითვალისწინოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპული კომისიის (ECRI) და გაეროს უნივერსალური პერიოდული

მიმოხილვის (UPR) ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები და უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების მანდატის მქონე უწყების შექმნა და განვითარება.

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, უზენაესი სასამართლოსა და საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკის წარმოებისა და გამოქვეყნების პროცედურა უნდა დაიხვეწოს, რათა სტატისტიკაში შესაძლებელი იყოს კონკრეტული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელიც შეეხება დამნაშავესა და მსხვერპლის დემოგრაფიულ მონაცემებს, მათ შორის კავშირს, რაც პრევენციული ფუნქციის დასაგეგმად, არსებითად მნიშვნელოვანია.
- ✓ გააძლიერონ მუშაობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა მსხვერპლების დაცვისა და დახმარების სერვისების განვითარებაზე. სერვისები უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, გეოგრაფიულად მისაწვდომი და მსხვერპლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული.
- ✓ ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის სრული დაცვით განახორციელოს ლგბტ+ პირთა მიმართ ნებისმიერი ძალადობისა და ძალადობის საფრთხის პრევენცია, ძალადობის ფაქტების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და მსხვერპლთა უფლებების აღდგენა. მათ შორის, პირველ რიგში, იგულისხმება დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა და სიძულვილის ენისა და ძალადობისკენ საჭაროდ მოწოდებაზე შესაბამისი მყისიერი და ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება.
- ✓ უზრუნველყონ 5-6 ივლისს მომხდარ ფართომასშტაბიან ძალადობრივ ქმედებაზე სათანადო რეაგირება, რაც გულისხმობს ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობისკენ საჭაროდ მოწოდების ფაქტზე შესაბამისი და მყისიერი სამართლებრივი ზომების მიღებას, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გზით.
- ✓ უზრუნველყოს ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა შორის ჩადენილი დანაშაულის სიმწვავის, მისი გამოვლენისა და რეგულირების საჭიროების აღიარება, რათა მსხვერპლს, სათანადო დაცვის მექანიზმები შეეთავაზოს საჭიროებაზე დაყრდნობით და უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება სათემო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ:

- ✓ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უნდა უზრუნველყოს ადამიანის თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული გენდერის სამართლებრივი აღიარების დროული და გამჭვირვალე ადმინისტრაციული მექანიზმების შექმნა და ამუშავება, რაც გულისხმობს, აღიარებისთვის დღეს დადგენილი დისკრიმინაციული მოთხოვნების სრულ გაუქმებას.

საქართველოს განათლების სამინისტრომ:

- ✓ გააძლიეროს ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეებში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ინკლუზია, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოების/მშობლების მუდმივი ინფორმირება სექსუალობის შესახებ განათლების საჭიროებისა და მისი სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ, რაც ასევე გულისხმობს, დებინფორმაციის მონიტორინგსა და ანტიგენდერული ჯგუფების მხრიდან მცდარი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებას.
- ✓ მიიღოს ყველა ზომა, რათა გახადოს სკოლები და სხვა საგანმანათლებლო სივრცეები უსაფრთხო ლგბტ+ მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, ამაში იგულისხმება მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მუდმივი და პერმანენტული მონაწილეობა საგანმანათლებლო

ტრენინგებსა და სემინარებში, რომელიც კონკრეტულად სოგი-სა და გენდერული გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაციისა და არასახარბიელო მოპყრობის პრევენციის აუცილებლობის საკითხებს დაეთმობა.

- ✓ უზრუნველყოს COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის შედეგების შემსუბუქება განათლების უფლების განხორციელებაზე, რაც გულისხმობს მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების მოკვლევასა და მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის პროგრამების ამუშავებას, მათ შორის, სწავლის გადასახადის შემსუბუქების გზით. გარდა ამისა, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფომ უზრუნველყოს წვდომა ინტერნეტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, რათა სტუდენტებსა და მოსწავლეებს სხვების თანასწორად შეეძლოთ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა და გარიყულები არ აღმოჩნდნენ სოციალური სტატუსის გამო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

- ✓ უზრუნველყოს შრომით ბაზარზე ახალგაზრდებისა და სტუდენტებისათვის არსებული მაკრო და მიკრო (მათ შორის, ჰომოფობიური გარემო) ბარიერების შესწავლა, რათა შესაბამისი პროგრამებითა და პოლიტიკებით უპასუხო არსებულ გამოწვევებს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ტრანზიციას სასკოლო/საუნივერსიტეტო განათლებიდან ღირსეულ შრომაში.
- ✓ უზრუნველყოს პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად შესაბამისი სოციალური მექანიზმების ამუშავება, რაც ლგბტ+ ადამიანებსა და მათ შინამეურნეობებს საშუალებას მისცემს მიიღონ შესაბამისი დახმარება, განსაკუთრებით იმ ოჯახებმა, რომლებმაც პანდემიის შედეგად დაკარგეს სამუშაო ადგილი და, შესაბამისად, შემოსავლის გარეშე დარჩნენ.
- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების შესაბამისად, უზრუნველყოს ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვასთან დაკავშირებით შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ამუშავება. სამინისტრომ მყისიერად უნდა დაიწყოს მუშაობა ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და პროტოკოლების შექმნაზე, ტრანს ადამიანთა საჭიროებების გასათვალისწინებლად.
- ✓ მიიღოს შესაბამისი ზომები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრიორეტიზაციისთვის ქვეყანაში, რაც ასევე გულისხმობს, მედიკამენტებზე წვდომის უზრუნველყოფას, ფასის გაკონტროლებით.
- ✓ მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების ფარგლებში უზრუნველყოს, უსახლკარო პირების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, რათა უზრუნველყოს მინიმუმ უსახლკარო პირების და, შესაბამისად, მათი უფლებებისა და საჭიროებების ხილვადობა.
- ✓ მნიშვნელოვანია, შესაბამის ვადებში შემუშავდეს უსახლკარობის ეროვნული სტრატეგია, შესაბამისი სამოქმედო გეგმ(ებ)ი და დაინერგოს უსახლკარობასთან ბრძოლის ქმედითობის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფ ყველა ჯგუფს, მათ შორის, ლგბტ+ ადამიანებს.
- ✓ მიზანშეწონილია, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, მუნიციპალიტეტებმა აღასრულონ უსახლკარო პირების რეგისტრაციის საკუთარი უფლებამოსილება და შეიმუშაონ შესაბამისი მეთოდოლოგია. ეს უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კოორდინაციის მექანიზმის ამოქმედების პირობებში.
- ✓ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს თავშესაფრების იმგვარი ადმინისტრირება და მოქალაქეთა იმგვარი განთავსება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან და შეძლებს უზრუნველყოს ღირსეული საცხოვრებელი პირობები.

საქართველოს პარლამენტი:

- ✓ უზრუნველყოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებითა და ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა პრაქტიკაში და საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე საზედამხედველო მანდატის ფარგლებში განახორცილოს მის მიერ მიღებული ზომების ეფექტიანი მონიტორინგი.
- ✓ საქართველოს გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭომ, საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან მონაწილეობით უნდა უზრუნველყოს ლგბტ+ პირთა მიმართ შრომით ურთიერთობაში არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის ანალიზი/თემატური მოკვლევა, რათა დაიგეგმოს შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებები და საკანონმდებლო ინიციატივები ყველა იმ ბარიერის აღმოსაფხვრელად, რაც ლგბტ+ პირებს ხელს უშლით დასაქმებასა და ღირსეულ შრომით ურთიერთობაში ჩართვაში.
- ✓ პარლამენტის ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტთან ერთად უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება/ინიცირება, სამედიცინო დაწესებულებებში ხარისხის მონიტორინგის გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმების ასამუშავებლად, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, მათ შორის, ლგბტ+ ადამიანებს, აღიდგინონ დარღვეული უფლება.
- ✓ უზრუნველყოს უსახლკარო პირის ცნების²²⁷ შემუშავება. ამ პროცესში გაითვალისწინოს უსახლკარობის სტრუქტურული განზომილებები (ფიზიკური, სამართლებრივი და სოციალური). საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს ნიშნავს, რომ უსახლკარო პირის ცნება არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ქერის გარეშე მცხოვრებ ჯგუფებს. შესაბამისად, არასათანადო საცხოვრებელში მცხოვრები ადამიანები არ უნდა დარჩნენ უსახლკარობის განმარტების მიღმა. უსახლკარობასთან ეფექტიანად საბრძოლველად, შესაძლებელია გამოიყოს უსახლკარობის ხარისხები, კერძოდ, ერთი მხრივ, უსახლკარო პირისა და, მეორე მხრივ, უსახლკარობის რისკის წინაშე მყოფი პირის ცნება.²²⁸

227 უსახლკარო პირის განმარტებამ ქერის გარეშე მყოფ პირებთან ერთად დაფაროს შემდეგი ჯგუფები: ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ უსახლკაროთათვის განკუთვნილი საცხოვრებლით; ადამიანები, რომლებიც ქალების თავშესაფარში ცხოვრობენ; ადამიანები, რომლებიც იმიგრანტების თავშესაფარში ცხოვრობენ; ინსტიტუციიდან გამოსვლის მოლოდინში მყოფი ადამიანები, მათ შორისაა: პენიტენციური დაწესებულებები, სამედიცინო დაწესებულებები და ბავშვთა ინსტიტუციები/სახლები; ადამიანები, რომლებიც დროებით ცხოვრობენ ნათესავებთან თუ ნაცნობებთან, ასევე, ალტერნატიულ (არაკონვენციურ) საცხოვრებლებში.

228 უსახლკარობის რისკის წინაშე მყოფი პირის დეფინიციამ და კრიტერიუმებმა უნდა დაფაროს შემდეგი ჯგუფები: ადამიანები, რომლებიც უსახლკარობის გამო გრძელვადიან მხარდაჭერას იღებენ; ადამიანები, რომლებიც საფრთხის შემცველ საცხოვრებელში ცხოვრობენ; ადამიანები, რომლებიც გამოსახლების პირას არიან; ადამიანები, რომლებიც ძალადობის საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ; ადამიანები, რომლებიც საცხოვრებლად გამოუსადეგარ საცხოვრებელში იმყოფებიან; გადატვირთულ პირობებში მცხოვრები ადამიანები.

